ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 2017 №241 (7475) ფასი: 50 თეთრი

## ვისთვის იქნება დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა სავალდებულო



გვ.6

10 ოქტომბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# „კოტიკო არ წაიყვანოთ!“

ცემა-ტყეპა თბილისის საკრებულოსთან – აქციაზე დეპუტატ თინა ბოკუჩავას მეუღლე კოტე იოსელიანი და რამდენიმე პირი დააკავეს



ნაციონალები 100.000 ადამიანის გამოყვანას აანონსებენ

გვ.2







გვ.4

## „არჩევნების გაყალბების ამსახველი ვიდეო-მასალა ბოკერიამ და მაჭავარიანმა გააქრეს“



გვ.4

## კობა ნარჩემაშვილი: „ჩვენ დავძლევთ პრეზიდენტის ვეტოს“

გვ.3

## დავით ზურაბიშვილი: „რაში აწყობს ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ეს ხმაური?!“



**სამართალი** გვ.7

თელავში ერთ-ერთ კაფეში 27 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს



შსს-მ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა



გიორგი ჯაოშვილი: „იმედი“ ნოტარიუსთან 420.000 ლარად დამათმობინეს“



**ეკონომიკა** გვ.6



„საბიუჯეტო შემოსავლების 24% იხარჯება ბიუროკრატიის შესანახად, რაც ზედმეტად მაღალი მაჩვენებელია“



საკრებულოს რომელი დეპუტატების სარგებლობაში არსებული ავტომობილები გამოიყენება არასამუშაო დანიშნულებით



„2016 წელს თბილისის საკრებულომ საწვავის მოხმარებაზე 193,988 ლარი დახარჯა“

ISSN 1987-9385

5 რა პრობლემებია ირან-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში?

4 რისთვის ჩავიდა რუმინეთში ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაცია

5 მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ პირველ მგზავრებს რამდენიმე დღეში მიიღებს

7 ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატის უფლებები კონსტიტუციის დონეზე ავიყვანეთ“

# „კოტიკო არ წაიყვანოთ!“

## ცემა-ტყეპა თბილისის საკრებულოსთან – აქციაზე დეპუტატ თინა ბოკუჩავას მეუღლე კოტე იოსელიანი და რამდენიმე პირი დააკავეს


ნაციონალები 100.000 ადამიანის გამოყვანას აანონსებენ

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 10 ოქტომბერს, „ქართულმა ოცნებამ" მთელ მსოფლიოს აჩვენა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი კატენაჩიო (სხვა თუ არაფერი, მათი მერობის კანდიდატი კალაძე იტალიაშია ნათამაშები და მონახაზს ჩამოუტანდა). ამ კატენაჩიოს წყალობით, ზაალ უდუმაშვილის თქმით, პუშკინის სკვერი ბიძინა ივანიშვილის „გარაჟად" გადაიქცა.**

დედაქალაქის საკრებულოს სხდომა, სადაც ივანიშვილისთვის პუშკინის სკვერი უნდა ეჩუქებინათ, 16.00 საათზე იყო ჩანიშნული. ყოფილმა ხელისუფლებამ საკრებულოსთან აქცია 2 დღით ადრე დააანონსა. ისინი აქციის დაწყებას 14 საათისთვის აპირებდნენ, მაგრამ, როგორც მათი წინამძღოლი მიხეილ სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად.

დილის 10 საათი არც კი იქნებოდა, პოლიციამ საკრებულოს შენობა ჯებირებით რომ შემოღობა. პოლიცია შენობაშიც გამაგრდა. ნაციონალების მტკიცებით, მთავრობის ადმინისტრაციასთან სპეცრაზმი იყო მობილიზებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილის გადაწყვეტილებით, 10 ოქტომბერს შენობაში მხოლოდ საკრებულოს დეპუტატები, თანამშრომლები და მედიის წარმომადგენლები შეუშვეს.

ასეთი გადაწყვეტილება ალიბეგაშვილმა 29 სექტემბერს თბილისის საკრებულოში განვითარებული მოვლენების გამო მიიღო. იმ დღეს საკრებულოში ნაციონალები და „ევროპული საქართველოს" წევრებიც იყვნენ და იქ დიდი ამბებიც დაატრიალეს.

ოპოზიციამ იქ აქტიურობით ვერაფერს მიაღწია. საკრებულომ ივანიშვილთან დაკავშირებით ორი გადაწყვეტილება მიიღო – პუშკინის სკვერთან, „პანორამა თბილისის" სასტუმროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის ასაშენებლად მიწის ნაკვეთს ფუნქციური ზონის სტატუსი შეუცვალა, ხოლო თაბორის მთაზე მდებარე ტერიტორიას რეკრეაციული სტატუსი „თაბორი რიზორთსის" სასარგებლოდ მოხსნა.

თაბორის მთის აღნიშნულ ტერიტორიაზე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ კომპანიას გოლფის მოედნების მოსარწყავად საირიგაციო ნაგებობის აშენება სურს.

საკრებულოში უცხო პირები, მათ შორის პარლამენტის დეპუტატები არ შეუშვეს, მაგრამ ხმაურსა და დავიდარაბას მაინც ვერ გადაურჩნენ.

ხმაური იყო როგორც შენობაში, ასევე შენობის მიღმა.

უსაფრთხოების სამსახურმა ძალის გამოყენებით ბიუროს სხდომიდან გაიყვანა საკრებულოს დეპუტატი ირაკლი ნადირაძე. პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა ენმ-ის მეორე წევრმა მარიკა დათუკიშვილმა.

– გამომდინარე იქიდან, რომ ენმ-ს გვქონდა დაყენებული დღის წესრიგიდან ამ ორი საკითხის ამოღება, უარყოფითი გადაწყვეტილება იყო მიღებული, რადგან მათ აქვთ ბრძანება, რომ ბიძინა ივანიშვილს ნებისმიერი გზით ერთ ლარად დაუკანონონ თბილისელების ქონება. ჩვენ გვინდოდა საკრებულოს თავმჯდომარესთან მისვლა და დალაპარაკება ამ საკითხზე, მაგრამ მერიის უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ მოყვანილმა ზონდერებმა საკრებულოს თავმჯდომარესთან მისვლა არ გვაცალეს და საკრებულოს დეპუტატები საკრებულოს შენობიდან გამოგვაძევეს.

აი, ეს არის მათი სახე, აი, ამას კადრულობს ბიძინა ივანიშვილი, მზად არის, საკუთარი პირადი კეთილდღეობისთვის ერთ ლარად თბილისელებს წაჰგლიჯოს ქონება, ყველა დანაშაულზე წავიდეს და, ხალხო, კიდევ გაქვთ იმედი, რომ რამეს გააკეთებს ეს ადამიანი? თქვენ გჯერათ, რომ 21 ოქტომბერს, თუ ამათ გაიმარჯვეს, რამე შეიცვლება? ესაა მათი სახე. მათ დაარღვიეს კანონი, დაარღვიეს რეგლამენტი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სხდომიდან გამოძევებულმა ნადირაძემ.

სხდომიდან პროტესტის ნიშნად გამოსული მარიკა დათუკიშვილის თქმით კი საკრებულოს სხდომა არალეგიტიმური იყო, რადგან დაირღვა არაერთი კანონი, რომელებიც ამ სხდომის საჯაროობას უზრუნველყოფდა.

დეპუტატის განცხადებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სასამართლოს მიმართავს, რომ საკრებულოს სხდომა და მასზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება არალეგიტიმურად იქნეს ცნობილი.

– ამ ადამიანებს, ამ მოღალატეებს, ამ დამნაშავეებს აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება. ეს სხდომა ლეგიტიმური არ არის, იმიტომ, რომ დაირღვა სხდომის საჯაროობა, დაირღვა არაერთი კანონი, რომელებიც სხდომის საჯაროობას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, ჩვენ უკვე სასამართლოს გზით მივაღწევთ, რომ ეს სხდომა და 10 ოქტომბერს მიღებული ყველა გადაწყვეტილება არალეგიტიმურად იქნეს ცნობილი, – აღნიშნა დათუკიშვილმა.

### „კახა კალაძემ საჯაროობა ფეხქვეშ გათელა“




საკრებულოში და საკრებულოსთან განვითარებული მოვლენები დაგმეს რესპუბლიკელებმაც.

დეპუტატ ხათუნა სამნიძის განცხადებით, საკრებულოს სხდომა უკანონოდ წარიმართა, ვინაიდან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება არ მიეცათ.

– იმისთვის, რომ ქონება 1 ლარად გადასცემოდა ბიძინა ივანიშვილს, მთელი სახელმწიფო მანქანა იყო მობილიზებული, რათა დეპუტატები, აქტივისტები არ შეეშვათ სხდომაზე. ვისაც შეკითხვა და განსხვავებული აზრი ჰქონდა, ყველას დაატოვებინეს პროცესი კორდონის მოწყობითა და სხვადასხვა მეთოდით.

პროცესი მთლიანად დაიგეგმა ისე, რომ არავის ჰქონოდა განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება. ჩვენ ვხედავთ, როგორ თელავს „ქართული ოცნება“ მთელ მმართველობას. კახი კალაძე, რომელიც ჰპირდება ყველას, რომ მერიაში პროცესი გამჭვირვალე იქნება და სულ იზრუნებს რეკრეაციულ ზონებზე, მისმა გუნდმა 10 ოქტომბერს ეს ყველაფერი ფეხქვეშ გათელა, – განაცხადა სამნიძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

სრულიად განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ მეოცნებეებს.

ყოფილი ოპოზიციონერის, ამჟამად კი უმრავლესობის დეპუტატ ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებით, არ შეიძლება, ზალიკო უდუმაშვილის პოზიორობასა და მისი მერობისთვის გაქაჩვას შეეწიროს თბილისის საკრებულო.

– მე ძალიან კარგად ვხედავდი და ეს ყველასთვის ნათელი იყო, რას ემსახურებოდა თითოეული თქვენგანის განცხადებები. არ შეიძლება, ზალიკო უდუმაშვილის პოზიორობასა და მისი მერობისთვის გაქაჩვას, ბოდიში ამ სიტყვისთვის, შეეწიროს თბილისის საკრებულო და ეს ინსტიტუტი, – განაცხადა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ჯაბა ჯიშკარიანმა.

* * *

გაცილებით დრამატულად განვითარდა მოვლენები საკრებულოს მიღმა. იქ აქციას ნაციონალები და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები მართავდნენ. მათ შორის იყვნენ პარლამენტის დეპუტატებიც.

ისინი რამდენჯერმე შეეცადნენ საკრებულოში შეღწევას, მაგრამ პოლიციის წინააღმდეგობის გადალახვა ვერ მოახერხეს.

აქციაზე ხელჩართულ ჩხუბამდე რამდენჯერმე მივიდა საქმე. შეხლა-შემოხლისას სამართალდამცავებმა 8 პირი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი დეპუტატ თინა ბოკუჩავას მეუღლე კოტე იოსელიანი იყო.

მეუღლის დაკავება გააპროტესტა ბოკუჩავამ. „კოტიკო არ წაიყვანოთ!“ – უკიოდა ის პოლიციელებს განწირული ხმით. მისმა ემოციებმა სოციალურ ქსელში რატომღაც დიდი მხიარულება გამოიწვია.

როგორც დაკავებულმა იოსელიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის თავის მეუღლეს გამოესარჩლა, რომელსაც პოლიცია უხეშად მოექცა.

აღსანიშნავია, რომ კოტე იოსელიანი ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატია ვაკის რაიონში. მის გარდა, აქციაზე დეპუტატობის კიდევ ორი კანდიდატი – თორნიკე ბიკაშვილი და მიხეილ კაკაურიძე დააკავეს.

აქციაზე სულ 8 პირი დააკავეს.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ნიკა მელიას თუ დავუჯერებთ, პოლიციელებმა აქციაზე მისი დაკავება ცადეს.

მისივე განცხადებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხზე საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

– უპირველეს ყოვლისა, რაც უნდა გაკეთდეს და გაკეთდება აუცილებლად, არის ის, რომ გაგრძელდება საპროტესტო აქციები. რამდენ ადამიანს დააკავებენ, რამდენს მოერევიან, ასი ათასს მოერევიან?! როდესაც 100.000 ადამიანის მიერ არგუმენტირებული პროტესტი ისმის რუსთაველის გამზირიდან, რა ხდება მაშინ, ეს უახლოესმა წარსულმაც გვანახა. რატომ ჰგონიათ, რომ თუ ხელისუფლება ადრე იცვლებოდა, ახლა არ შეიცვლება?

თან ამას აკეთებენ უკიდურესი ცინიზმით, არჩევნებამდე 12 დღით ადრე. ვინც აქ არის, უმეტეს ადამიანს ყბა უკანკალებს და ცახცახებს, რადგან დიდმა უმრავლესობამ იცის, რომ უკანონობას ემსახურებიან. გაგრძელდება საპროტესტო აქცია ამ საკითხის გარშემო, ვიდრე გამარჯვებას არ მივაღწევთ. პუშკინის სკვერში, რაც არ უნდა გადაწყვეტილება მიიღონ, როგორ ააშენებს ბიძინა ივანიშვილი იმ კონსტრუქციას, რისი აშენებაც უნდა, მაგასაც ვნახავთ, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, საკრებულომ ივანიშვილისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.

ამას ნაციონალების მერობის კანდიდატმა ზაალ უდუმაშვილმა ასეთი შეფასება მისცა:

– 10 ოქტომბრიდან პუშკინის სკვერი არის ივანიშვილის გარაჟი და ბოტანიკური ბაღი – ივანიშვილის პირადი ბოსტანი. ეს გააკეთა თბილისის საკრებულოს „ქართულმა ოცნებამ“.

* * *

საკრებულოსთან განვითარებულ მოვლენებს პარლამენტშიც გამოეხმაურნენ. ნაციონალებმა და „ევროპულმა საქართველომ“ „ოცნება“ დაგმო, „ოცნებამ“ – ყოფილი ხელისუფლება.

10 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებით ოპოზიცია შს მინისტრს პარლამენტში იბარებს.

გიგა ბოკერიას განცხადებით, პარლამენტს თუ აქვს საკუთარი პოლიტიკური ღირსებისა და კანონის უზენაესობის დაცვის სურვილი, პოლიციის ხელმძღვანელი უნდა იყოს დაბარებული და მას მოეთხოვოს პასუხი.

დეპუტატს აინტერესებს, თუ რატომ დაარღვიეს 10 ოქტომბერს პოლი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე


„პუშკინის სკვერი ივანიშვილის გარაჟად გადაიქცა“

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოდან სტრასბურის სასამართლოში მოსამართლედ ლადო ჭანტურია აირჩიეს



საქართველოდან სტრასბურის სასამართლოში მოსამართლედ, ხმათა დიდი უმრავლესობით, ასამბლეამ ლადო ჭანტურია აირჩია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განუცხადა, რომელიც ამჟამად სტრასბურში იმყოფება. მისი ინფორმაციით, ლადო ჭანტურიას ასამბლეის 120 წევრმა მისცა ხმა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დილიდან დაიწყო ფარული წესით ხმის მიცემის პროცედურა მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

ლადო ჭანტურიასთან ერთად, კანდიდატებად საქართველოდან ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა იყვნენ წარდგენილნი.

# დავით ნარმანია: „საკრებულოს თავმჯდომარე სწორად მოიქცა“

– საკრებულოს თავმჯდომარე სწორად და მართებულად მოიქცა, როცა არ შეუშვა საკრებულოს დარბაზში ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე დღეა აანონსებდნენ იმას, რომ ხელს შეუშლიდნენ საკრებულოს საქმიანობას.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოსთან განვითარებული მოვლენების შეფასებისას განაცხადა.



მისი თქმით, სიტყვასა და გამოხატვას აქვს თავისი საზღვრები და დეპუტატები ამ საზღვრებს არ უნდა გასცდნენ. ნარმანიას განცხადებით, ზოგიერთი ოპოზიციონერი დეპუტატის მხრიდან ბოლო პერიოდში აგრესია შეინიშნება, რაც გამოიხატება სხვადასხვა ადმინისტრაციული დაწესებულებების სხდომების ჩატარებისთვის ხელის შეშლაში.

– პარლამენტის ზოგიერთი ოპოზიციონერი წევრისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, შეინიშნება აგრესია და ძალის გადამეტება, რაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოებისთვის სხდომების ჩატარების ხელის შეშლაში გამოიხატება. სწორედ ამიტომაც არის ასეთი გადაწყვეტილებები ბოლო პერიოდში მიღებული, მათ შორის ჩვენი მხრიდანაც, როდესაც თავის დროზე ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. ვფიქრობ, დღეს საკრებულოს თავმჯდომარეც სწორად და მართებულად მოიქცა, როცა არ შეუშვა საკრებულოს დარბაზში ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე დღეა აანონსებდნენ იმას, რომ ისინი აუცილებლად ხელს შეუშლიდნენ საკრებულოს საქმიანობას. კანონი პირველ რიგში მათ არ აძლევს ამის უფლებას და საშუალებას, რომ რაც უნდათ ის ილაპარაკონ. სიტყვას და გამოხატვას აქვს თვისი საზღვრები, როცა გაქვს პრეტენზია, რომ ხარ დეპუტატი და ხალხის რჩეული და შედიხარ ადმინისტრაციული დაწესებულების შენობაში, ესწრები სხდომას, უნდა მოიქცე ღირსეულად. იქ შეგიძლია კამათი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ისინი საზღვარს უკვე დიდი ხანია გასცდნენ, – განაცხადა ნარმანიამ.

# მამუკა მდინარაძე: „ის, რასაც ოპოზიცია ქონების ერთ ლარად გადაცემას არქმევს, მილიარდიანი ინვესტირებაა“

ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის შეფასებით, დეპუტატების მიერ საკრებულოს სხდომის ჩაშლის წინასწარ დაანონსების ფონზე, საკრებულოს გადაწყვეტილება მათი სხდომაზე არდაშვების თაობაზე ლეგიტიმურია.



ამის შესახებ მდინარაძემ ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოსთან განვითარებული მოვლენების შეფასებისას განუცხადა.

– რასაც ისინი ერთ ლარად ქონების გადაცემას არქმევენ, რეალურად, არის მილიარდიანი ინვესტირება, რასაც ხელს უშლიან. შესაბამისად, ისინი ხელს უშლიან ეკოლოგიას, სამუშაო ადგილებს, თბილისის ახალ სავიზიტო ბარათს. თუ ასე აპირებენ ამომრჩევლის გულის მოგებას, ბუნებრივია, ამას სწორ სვლად ნამდვილად ვერ შევაფასებ. მე ვფიქრობ, ნებისმიერი აქცია, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც პროგრესის ჩაშლისკენ არის მიმართული, საკრებულოს სხდომა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, უნდა აღიკვეთოს, – განაცხადა მდინარაძემ.

# დავით ზურაბიშვილი: „რაში აწყობს ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ეს ხმაური?!“

ნათია ხურცილავა

**დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გუშინ, 10 ოქტომბერს, საკრებულოს შენობის გარეთ და სხდომაზე განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომის წინ საკრებულოს შენობაში მხოლოდ საკრებულოს წვერები და პრესის წარმომადგენლები შეუშვეს. რაც გააპროტესტეს პარლამენტის დეპუტატებმა. რამდენად ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო ალიბეგაშვილმა?***

– პირველ რიგში, აქ მთავარი პრობლემა არის ის, რომ ირღვევა კანონი. კანონდარღვევას აქვს ადგილი. ნამდვილად არ ჰქონდა არავითარი უფლება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ასეთი ბრძანება გამოეცა. საკრებულოს შენობაში და სხვა ნებისმიერ საჯარო შენობაში პარლამენტის წევრების, დეპუტატების შესვლის საკითხი კანონმდებლობით რეგულირდება. ეს საკითხი არ არის დამოკიდებული ვინმე, კონკრეტული პირის ნება-სურვილზე.

პარლამენტის დეპუტატს კანონი აძლევს ნებისმიერ წარმომადგენლობით ორგანოში შესვლის სრულ უფლებას, ამას მას ვერავინ აუკრძალავს. კანონის მოთხოვნა, ცხადია, ყველამ უნდა აღასრულოს და, რასაკვირველია, ეს მოთხოვნა საკრებულოს თავმჯდომარემაც უნდა აღასრულოს. სხდომათა დარბაზში თუ საკრებულოს შიგნით, ნებისმიერ ადგილზე ვიღაც იხულიგნებს და არასათანადო ქცევას გამოავლენს, მერე, რა თქმა უნდა, არსებობს უსაფრთხოების სამსახური და, ცხადია, რეაგირებას მოახდენს ამ ყველაფერზე. სამართალდამცავები არსებობენ იმისთვის, რომ რეაგირება მოახდინონ, მაგრამ მათ რეაგირება დანაშაულზე უნდა მოახდინონ, ვიღაცა რაღაცას რომ დაარღვევს, მერე უნდა იმოქმედოს, მანამდე თუ არ არის დანაშაული ჩადენილი. როდესაც კანონი არავის არ დაურღვევია და შენ არღვევ კანონს, მაშინ ამაზე პასუხი უნდა აგო. თუ შეწუხება არ უნდათ და ნერვების მოშლა, მაინც შეწუხ-



დებიან.

***– საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტყემალაძემ განაცხადა, რომ სხდომის ფუნქციონირებას შეიძლება ხელი შეეშალოს, ვიღაცამ დებოში მოაწყოს, როდესაც თბილისის სასარგებლოდ ვიღებთ გადაწყვეტილებას.***

– წინასწარ კანონის დარღვევა საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან იმ მოტივით, რომ ვიღაცა რაღაცას აპირებს, ეს სრულიად წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია, ეს გაამართლო. თანაც, ჩვენ ხომ ვიცით, რომ უმრავლესობა მათ ხელშია, მათ აქვთ პულტები და ნებისმიერ გადაწყვეტილებას მიიღებენ. აქ ხომ პრობლემა საერთოდ არ ჩანს?!

მეორე პრობლემა, რაც ღიად გამოჩნდა, არის ის, რომ ხელისუფლებას სჭირდება ასეთი დონის მობილიზება. იყო არნახული რაოდენობის უშიშროებისა და საპატრულო პოლიციის მობილიზება. პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ ურდოების შემოსევის დროს შეიძლება დაცვის ასეთ ზომებს მიმართო.

რა გამოჩნდა ამით, რომ მორალური უპირატესობა არა აქვს დღეს ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ ზომებს არ მიმართავდა. სრულიად წარმოუდგენელია, სხვა მიზეზებით ეს ახსნა. ყოველ შემთხვევაში, მტყუანის პოზიციაშია, ეს ჩანს მისი მოქმედებიდანაც. ყოველგვარი განხილვის, გარჩევის, დისკუსიის გარეშე მოხდა ამ წინადადების საკრებულოში შემოსვლა და ხელისუფლებამაც გადაწყვიტა, რომ აუცილებლად უნდა შეასრულოს. როგორც გითხრათ, ძალიან თავხედურად მოხდა ეს ყველაფერი და ეს ღიად ჩანს. იმის ნაცვლად, რომ გამართულიყო დისკუსია, განხილვა, მეტი ინფორმაცია მიგვეღო, რა? როგორ? რატომ? ამ კითხვებზე გაცემულიყო პასუხები, აეხსნათ, სრულიად საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები. როგორც გითხარით, თავხედურად მოხდა ყველაფერი.

***– ხელისუფლება თავდაცვით პოზიციაშია?***

– მართალი გითხრათ, ვერ ვხსნი, რადგან ლოგიკას ვერ ვხედავ. რასაც ახლა ხელისუფლება აკეთებს, ეს მისთვის მომგებიანი ნამდვილად არ არის. ეს არის ერთი მხრივ უკიდურესი არაკვალიფიციურობა. ხელისუფლებამ გამოავლინა არცოდნა თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში. პოლიტიკური გამოცდილების მხრივ ხელისუფლებამ აბსოლუტური უცოდინრობა გამოავლინა. მეორე მხრივ, ეს არის შინაგანად ავტორიტარული დამოკიდებულება, რომ არ გინდა, ვიღაცამ ნერვები მოგიშალოს, არადა პოლიტიკაში ასეა, წარმოუდგენელია სხვაგვარად. პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაფერი შენს სასიხარულოდ და გასახარად არ კეთდება. ვიღაცა პროტესტს გამოთქვამს, ვიღაცა რაღაცას იტყვის, ვიღაცაც შეგეკამათება, როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ამისთვის შენ ყოველთვის მზად უნდა იყო და პასუხი მხოლოდ კანონის ფარგლებში უნდა გასცე. როდესაც თავად გამოდიხარ კანონდამრღვევი, მერე უკვე სხვას ველარ შეეწინააღმდეგები.

***– მართლაც პოლიტიკურ გამოუცდელობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ხელისუფლება ოპოზიციას, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას ეძლევა შესაძლებლობა, რომ ხმაურიანად წარმართოს წინასაარჩევნო კამპანია, როდესაც არჩევნები კარს არის მომდგარი?***

– არა მგონია, რომ მხოლოდ პოლიტიკური გამოუცდელობა იყოს მიზეზი. არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სცოდნოდა, თუ რა შეიძლება ამას მოჰყოლოდა. რატომ აკეთებს ამას, და ეს რომ მის გარეშე არ კეთდება, თანაც მაინცდამაინც ახლა, არჩევნების წინ, ეს კითხვები მასთან არის, რადგან აქ ლოგიკა არ ჩანს და რაციონალურს ვერაფერს ვხედავ.

***– ბატონო დავით, თვითონ შინაარსზე მინდა გკითხოთ, გარკვეული ახსნა გააკეთეს, თუმცა, პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით ნაკლებად იყო დამაჯერებელი, რადგან ავტოსადგომი მხოლოდ 30 ავტომანქანაზეა გათვლილი. რაც შეეხება თაბორის მთას, აქ რა არის თქვენი შენიშვნები?***

– რაც შეეხება პუშკინის სკვერს, არათუ დამაჯერებელი არ არის, კრიტიკას ვერ უძლებს. რაც შეეხება თაბორის მთას, ეს ახალი პროექტი არ არის. ადრე პროექტი იყო შემოტანილი, მსჯელობაც იყო, მაგრამ ახლა საუბარია დამატებით ტერიტორიაზე, დაახლოებით 4 ათას კვადრატულ მეტრზე. როგორც გვეუბნებიან, არსებობს გარკვეული ვალდებულება, რომ ამ ტერიტორიაზე დამხმარე შენობა-ნაგებობები განთავსდეს, მაგრამ რატომ? რისთვის? რა ნაგებობებზეა საუბარი და რატომ მაინცდამაინც 4 ათას კვადრატულ მეტრზე და არა, მაგალითად, 1500 კვადრატულ მეტრზე, არავინ გვპასუხობს. აქ საუბარია დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს. ერთადერთი, რაც გამოასწორეს, არის ის, რომ ერთ ლარად ვერ იყიდის ეს კომპანია, 102 ათას ლარს გადაიხდის. თუმცა, ღიად ჩანს, რომ ეს ერთიანი პაკეტია და ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული, ვერ ვხვდები ვერანაირად, რად უნდა კერძო საკუთრებაში. მიდგომა ტოვებს შთაბეჭდილებას, რასაც მინდა გავაკეთებ! ეს არის სწორედ შეურაცხმყოფელი.

***– თუნდაც კეთილი მიზნებით იყოს ნაკარნახევი.***

– დიახ, არ მგონია, ბოროტი მიზნებით იყოს, ალბათ მიზანი კეთილია, მაგრამ ხომ უნდა გაირჩეს, კარგია, ცუდია. ხომ უნდა ვიმსჯელოთ, ბოლოს და ბოლოს თავისუფლების მოედანზეა საუბარი, სადაც მართლაც ძალიან სუსტია პოზიცია. არანაირი ახსნა არა აქვს, თავისუფლების მოედანზე ვიღაცას, ერთი ლარი იქნება თუ რამდენიც არ უნდა იყოს, საკუთრებაში რატომ უნდა გადაეცეს ტერიტორია.

# „კოტიკო არ წაიყვანოთ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ციის წარმომადგენლებმა კანონი და პარლამენტის წევრები თბილისის საკრებულოს შენობაში არ შეუშვეს.

– მათ დაარღვიეს ძალიან გარკვევით გაკეთებული ჩანაწერი, რომ დეპუტატებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს სხდომებში და სათათბირო სახით გამოთქვან თავისი პოზიცია. იქ არანაირი გამონაკლისები არ არის. იმ აბსურდული საბაბით, რაომელსაც ჩვენ ვისმენთ, რომ მერე შეიძლება ვიღაცას კანონი დაერღვია, დეპუტატებისთვის ამ ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა არის მაგალითი იმისა, როგორ უდგება „ქართული ოცნება“ და ივანიშვილის გუნდი თამაშის წესებს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბოკერიამ.

მისი თქმით, ეს არის ძალიან ცუდი და სახიფათო გზა ჩვენი ქვეყნისთვის.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილის მიერ საკრებულოს სხდომის დახურვა საქართველოს სახალხო დამცველმაც გააპროტესტა. უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ასეთი რამე დაუშვებელია.



# „არჩევნების გაყალბების ამსახველი ვიდეო-მასალა ბოკერიამ და მაჭავარიანმა გააქრეს“

შორენა მარსაგიშვილი



**მეგი გოცირიძე: „უგულავას ფრთას სააკაშვილის საქართველოში ჩამოტყუება სურდა“**

**რა მასალების წარდგენას ელოდებოდა აშშ-ის ელჩი 3 დღის განმავლობაში, რა დოკუმენტები გააქრეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რაზე ვერ ითანხმებენ ვანო მერაბიშვილს, რა გეგმა ჩაეშალა გასულ წელს ივანიშვილს, რატომ დაუწყო სააკაშვილს ლანძღვა გიგი უგულავამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

**მეგი გოცირიძე:**

– ბევრს უკვირს, საქართველოში რატომ გალანძღა გიგი უგულავამ საჯაროდ მიხეილ სააკაშვილი, კაცი, რომელმაც ის კაცად აქცია. უგულავას ქმედებებს ბევრი ახსნა არ სჭირდება, ის ციხემ გატეხა. ციხე ისეთი რამე, იქ შეიძლება ბევრი გატყდეს, მაგრამ გარეთ რომ გამოხვალ, მაშინ მაინც უნდა მოიქცე ცოტა კაცურად.

უგულავა სააკაშვილის ლანძღვით ივანიშვილის დავალებას ასრულებს. იმ ივანიშვილს უსრულებს დავალებებს, რომელმაც ის სრულიად უდანაშაულოდ ჩასვა ციხეში.

***– დღემდე ასე ფიქრობთ, რომ უგულავა უდანაშაულო იყო?***

– გიგი სულ ტყუილად გაუშვეს ციხეში. ის რუსი ოლიგარქის პირადი პატიმარი იყო. მერე ოლიგარქმა რაღაც გეგმა მოიფიქრა და უგულავა ციხიდან იმ დათქმით გამოუშვა, რომ მიშას გალანძღავდა.

ვანო მერაბიშვილიც რომ წასულიყო ამ გარიგებაზე, დღეს ისიც თავისუფალი იქნებოდა. უგულავას მსგავსად, ისიც უკანონოდ ყავთ ციხეში გამოკეტილი.

***– თქვენი აზრით, მერაბიშვილს მხოლოდ იმიტომ არ უშვებენ, რომ სააკაშვილის ლანძღვაზე ვერ დაითანხმეს?***

– კი არ ვფიქრობ, ეს ასეა. ვანო ქოცების მოთხოვნას რომ დათანხმებულიყო, დღეს ისიც გარეთ იქნებოდა. გარეთ გამოვიდა ის, ვინც მიშას გინებას დათანხმდა. იმ ტალახს, რასაც სააკაშვილს დღემდე ესვრიან, თავიდან ბოლომდე უგულავას და მაგის ბანდის დამსახურება იყო.

უგულავა დღეს მიშას აბრალებს იმას, რაც ბოკერია-ჩერგოლეიშვილის და გიგი წერეთლის მამის დაფუძნებული პარტიის – „ევროპული საქართველოს“ გაკეთებულია. ასეთი ბრალდებები სამარცხვინოა და გულისრევას იწვევს.

***– ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთი გუნდი იყავით. შარშან თუ წარმოიდგენდით, რომ გაიყოფოდით და ერთმანეთს ლანძღვა-გინებას დაუწყებდით?***

– ამას მე დიდი ხნით ადრე ველოდი. ნაციონალურ მოძრაობაში, ლამის პარტიის შექმნის დღიდან არსებობდა ბოკერიას დაჯგუფება. ეს კლანი მიშა სააკაშვილს ყველაფერში ხელს უშლიდა.

***– ხელის შეშლაში რას გულისხმობთ?***

– ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება ყოფილიყო. ყველა ანტიეროვნული გადაწყვეტილება, მათ შორის ეკლესიასთან ბრძოლა, ამ დანაყოფის გაკეთებული იყო.

დღეს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში დარჩა ის ხალხი, ვინც ვერ მოისყიდეს და ვერ დააშანტაჟეს. უგულავა-ბოკერიას გუნდი ბიძინამ იყიდა და მალე იმასაც გეტყვით, რატომ არ შემოვიდა შარშან სააკაშვილი საქართველოში.

ამ გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არჩევნებზე ხმები არ დაგვეცვა. არჩევნებში არარსებულმა კორპუსებმა მიიღეს მონაწილეობა. ამაზე ოქმები გვქონდა დაწერილი. ეს ოქმები ბიძინას ნაყიდმა კლანმა გააქრო.

***– ოქმები რანაირად გააქრეს?***

– როგორც აქრობენ ხოლმე. მარტო ოქმები კი არა, გაყალბების სქემების ამსახველი ვიდეო და აუდიო მასალაც წაშალეს. ეს ყველაფერი ინახებოდა ბოკერია-მაჭავარიან-გოგორიშვილთან. მათ ეს ფაილები წაშალეს.

***– დაუჯერებელ რაღაცას ამბობთ.***

– ნება თქვენია, ნუ დაიჯერებთ, მაგრამ ასე იყო. ამ კლანმა ხმების დასაცავად ბრძოლის არანაირი შანსი არ დაგვიტოვა. ამერიკის ელჩი 3 დღე ელოდა ჩვენგან განცხადების გაკეთებას. მიშა მზად იყო საქართველოში შემოსულიყო. ივანიშვილზე მიყიდულებმა კარგად იციან, სადაც იყო მაშინ სააკაშვილი.

როცა ბრძოლის საშუალება მოგვისპეს და არანაირი განცხადება არ გავაკეთეთ, აშშ-ის ელჩი გამოვიდა და თქვა ის, რაც თქვა. მე მას არ ვსაყვედურობ. ამერიკა ჩემს ნაცვლად ვერ იბრძოლებდა. ჩვენს გასაკეთებელს ვერც ერთი სხვა სახელმწიფო ვერ გააკეთებს. 1989 წლის აპრილში საშიმშილოდ რომ არ დავმჯდარიყავი, ჩემს წილ საქართველოს ვერავინ ვერ დაიცავდა.

***– ზემოთ თქვით, რომ დაასახელებდით მიზეზს, თუ რატომ არ ჩამოვიდა შარშან სააკაშვილი საქართველოში.***

– გეტყვით, აუცილებლად გეტყვით. ალბათ გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვით ადრე, სააკაშვილს როგორ უკიჟინებდნენ, საქართველოში ჩამოსულიყო. ეს კამპანია მიშას შემოტყუების გეგმის ნაწილი იყო.

***– ვინ აპირებდა მიშას შემოტყუებას?***

– ვინ და ისინი, ახლა ევროქოცები რომ ჰქვიათ.

***– მიშას შემოტყუება რაში სჭირდებოდათ?***

– ივანიშვილისთვის უნდა ჩაებარებინათ. შემოვიდოდა თუ არა სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე, მას დააკავებდნენ და მატროსოვის ციხეში უკრავდნენ თავს. ამ ციხეში არიან ივანიშვილის სხვა ტყვეებიც.

მათგან განსხვავებით, მიშასთან დაკავშირებით სპეციალური გეგმა ჰქონდათ შემუშავებული. ის უნდა მოეწამლათ და გაეგიჟებინათ. ამისთვის ნიადაგი რამდენიმე წლით ადრე იყო მომზადებული.

რამდენიმე წლით ადრე რამდენიმე ქართული გაზეთი აქვეყნებდა ვითომ ფსიქიატრების დასკვნას, რომ მიშა გიჟი იყო. იქ დასახელებული იყო ფსიქიატრიული კლინიკები და ფსიქიატრების გვარები. ეს ინფორმაცია გადავამოწმე და დედამიწის ზურგზე ვერც მსგავსი დასახელების კლინიკა ვიპოვე და ვერც მაგ სახელის და გვარის მქონე ფსიქიატრები.

მიშას მოწამლავდნენ, გააგიჟებდნენ და მერე ამ სტატიას ააფრიალებდნენ. იტყოდნენ, ჩვენ რა შუაში ვართ, ეგ სულ გიჟი და შეურაცხადი იყოო.

***– სააკაშვილი ამიტომ არ ჩამოვიდა, რომ გაგიჟების შეეშინდა?***

– მიშას არაფრის არ შეეშინდა, მაგრამ მისმა ჩამოსვლამ დაკარგა აზრი. ბოკერია-უგულავას ფლანგის მოქმედებებმა ჩვენი მხარდამჭერების დემორალიზება გამოიწვია. იმ ამბების გახსენებაც კი არ მინდა. ერთი მხრივ კარგიც იყო, რომ მიშა არ ჩამოვიდა, ამან მთელი ქართული პოლიტიკა გააშიშვლა.

ბოკერიას და მის ფრთას ვერასდროს ვერ ვიტანდი. ღიად ვიძახდი, რომ ისინი ნაციონალებიდან უნდა გაეშვათ. იმ ხალხის გაყრასაც ვითხოვდი, რომლებიც ახლა „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში იწონებენ თავს.

***– მაჟორიტარებზე საუბრობ?***

– რა თქმა უნდა, მაჟორიტარებზე ვსაუბრობ, მათი დახმარებით შექმნა ივანიშვილმა პარლამენტში უმრავლესობა. სახელმწიფო სტრუქტურებიც ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.

ბოკერია-მაჭავარიანის საცეცებისგან თავისთვის ოპოზიცია გაიკეთა და ჩვენ გვაბრალებენ ჯალათებს. თურმე ბოკერია ანგელოზი ყოფილა და მე 9 წელი სისხლს ვსვამდი. შეიძლება ზაზა ბიბილაშვილი და გრიგოლ ვაშაძე არ მოგეწონოს, მაგრამ მათ ზონდერები როგორ უნდა დაუძახო, როცა ზონდერებისგან გაქვს შექმნილი ევროქოცები. ჩვენ ზონდერებს ეს მართლა ზონდერებიც გვეძახიან და სწორედ მათ გამო ვართ ახლა ოპოზიციაში.

2012 წლის არჩევნების წინ, გახსოვთ, რა სპექტაკლები დადგა აქ გრუმ. ცოცხების კადრები გამოყარეს და რაფალიანცის ბავშვი ჩაახრჩვეს ქვევრში. ამის მიუხედავად, „ოცნება“ მაინც ვერ იგებდა არჩევნებს. სადღაც დღის 2 საათისთვის გადავწყვიტეთ, რომ გამარჯვებაზე უარი გვეთქვა.

***– რა მიზეზით თქვით ამაზე უარი? ამას არავინ დაიჯერებს.***

– ნუ დაიჯერებენ, ჩვენ გამარჯვებაზე უარი იმიტომ ვთქვით, რომ საქართველო სრული ოკუპაციისგან ვიხსენით. ყველამ კარგად იცის, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, რუსებს ახალგორში უკვე დაქოქილი ჰყავდათ ტანკები. მოვა დრო და ამის შესახებ ყველა ყველაფერს გაიგებს.

# კობა ნარჩემაშვილი: „ჩვენ დავძლევთ პრეზიდენტის ვეტოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა ნარჩემაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო კობა, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა ვეტო დაადო კონსტიტუციის კანონპროექტს და ექვსი მოტივირებული შენიშვნით შემოვიდა პარლამენტში. ექსპერტებისგან მოვისმინეთ შეფასებები, რომ მარგველაშვილმა ვერ შეძლო ზეპარტიულობის შენარჩუნება და წარდგა, როგორც მხარე. თქვენ რამდენად თვლით, რომ ასეა და რას იტყვით მის მოტივირებულ შენიშვნებზე?***

– ამ საკითხის შეფასებისას, მინიმუმ, ორი საკითხი არსებობს, ერთი პოლიტიკური და ერთი სამართლებრივი ასპექტი. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს კონსტიტუცია არის კარგი კონსტიტუცია. საკითხები, რომელთა თითქოსდა კონსენსუსით გადაწყვეტას ითხოვენ ოპოზიციური პარტიები და მათთან ერთად პრეზიდენტი, აბსოლუტურად არაარსებითია. საკითხი, როგორც შევიდა კონსტიტუციაში და როგორც ახლა წყდება, არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიას რაიმე საფრთხე ემუქრება.

***– არ ემუქრება? უმრავლესობამ კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგოო?***

– არა, უბრალოდ, ეს გადაწყვეტილებები არ ჯდება ოპოზიციური პოლიტიკური ძალების პერსპექტივაში და მათ ინტერესში.

***– პრეზიდენტის ინტერესზე რას იტყოდით?***

– მათ შორის პრეზიდენტის ინტერესშიც არ ჯდება ეს ამბავი.

***– რატომ, პრეზიდენტი ხომ დამოუკიდებელი ფიგურაა?***

– უნდა იყოს... სამწუხაროდ, ასე არ გამოჩნდა მთელი ეს პერიოდი. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, გასაგებია, რომ მათ აქვთ ინტერესი, რომ ხელისუფლებაში რაღაც ფორმით მაინც შეძლონ დამკვიდრება, ან რაღაც სარგებლის მიღება და ყველაფერი ამას უკავშირდება. ეს დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიების მხრიდან არის დიდი უპასუხისმგებლობა!

***– მთავარი მოთხოვნა ოპოზიციური პარტიების მხრიდან იყო საარჩევნო სისტემის ცვლილება. რაც არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ. ამის მოთხოვნა უპასუხისმგებლობაა?***

– 2020 წელს არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი დგას, როცა საქმე ეხება სახელისუფლო გუნდის სიმყარეს და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელისუფლებისთვის. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყნისთვისაც. ამიტომ ყველანაირი პრობლემა, რაც დაემუქრებოდა გუნდის ერთობას, ვერ გადაწყდებოდა ისე, როგორც უნდოდა ოპოზიციურ ძალებს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. სამაგიეროდ, უამრავი დათმობა იყო. 3%-ზე ჩამოსული ბარიერი, ბლოკები, რომელსაც ვენეციის კომისია მოითხოვს, ბონუსი და მეტი რა დათმობაზე უნდა წასულიყო ხელისუფლება?!

***– თუ სწორად გავიგე, თუკი გაიზიარებდა უმრავლესობა ოპოზიციის მოთხოვნებს, მაშინ უმრავლესობის ერთობას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა?***

– ეს არის ძალიან უტრირებული გაგება იმ პასუხისა, რაც მე მოგახსენეთ. ასე არ იყო, მაგრამ საერთოდ რატომ უნდა დადგეს ასეთი არაარსებითი საკითხებისას გუნდის პრობლემა, მე ვერ ვხვდები. მით უმეტეს მაშინ, როცა ძალიან მნიშვნელოვანია გუნდის თითოეული წევრის მოსაზრება.




ჩვენ გადაწყვეტილებებს სულ სხვაგვარად ვღებულობთ და არა ისე, როგორც 7-8 წლის წინ, როცა მხოლოდ ერთი კაცი ღებულობდა.

***– დღეს იქმნება სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტმა მის მოტივირებულ შენიშვნებში გაითვალისწინა ის, რასაც უმრავლესობა ითხოვდა, თუმცა ოპოზიციის მოთხოვნებიც არ დარჩენია უყურადღებოდ. რა იქნება ამ შემთხვევაში, დაძლევს უმრავლესობა ვეტოს?***

– ვეტო ან უნდა გაიზიარო მთლიანად, ან უნდა დაძლიო. ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილად ვერ მოხდება რომელიმე საკითხზე დათანხმება და რომელიმეს არგაზიარება. ამიტომ, როგორც ჩანს, მოგვიწევს ვეტოს დაძლევა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რა პრობლემებია ირან-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში?




თბილისში საქართველო-ირანის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა, რომელსაც ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარიაც დაესწრო. როგორც მან აღნიშნა, საქართველო-ირანის ურთიერთობის შედეგია ის, რომ საქართველოს 270 ათასი ირანელი ტურისტი ეწვია. მისივე თქმით, დაწყებულია მსხვილი პროექტი, რომელიც გადამამუშავებელი ქარხნის შექმნას გულისხმობს. 2017 წლის 8 თვის მონაცემებით სავაჭრო ბრუნვა ირანსა და საქართველოს შორის 48%-ით გაიზარდა, ირანიდან იზრდება ტურისტული ნაკადებიც და 2017 წლის 9 თვეში ირანიდან ვიზიტორების რიცხვი 127%-ით არის გაზრდილი.

ამასთან, როგორც გახარიამ განაცხადა, საქართველო ირანთან საბანკო გადარიცხვების აღდგენას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს. ეკონომიკის მინისტრი მედიასთან ამბობს, რომ ფინანსური არხების გახსნის კონკრეტულ მექანიზმებზე საუბარი 1.5-2 თვის შემდეგ შეიძლება.

– დღეს, სამწუხაროდ, ასეთი მექანიზმები შეზღუდულია იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს ფინანსურ სექტორს და კონკრეტულ საბანკო სისტემას აქვს აღებული ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მოთხოვნით, – განაცხადა გახარიამ.

როგორც საქართველო-ირანის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ვანო მთვრალაშვილმა რადიო „კომერსანტის" ეთერში განაცხადა, ფორუმზე ათეულობით მსხვილი ირანული კომპანიის წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებიც საქართველოს გავლით ევროპის ბაზარზე გასვლით არიან დაინტერესებული.

– საქართველოში არის ირანის ერთ-ერთი მინისტრი და მასთან ერთად 30-ზე მეტი მსხვილი კომპანიის წარმომადგენელი, რომელთა ინტერესებია ნავთობის გადაზიდვები, ტრანსპორტი, კვების მრეწველობა, ლითონის წარმოება და ა.შ. ირანში ფუნქციონირებს ქართულ-ირანული ბიზნეს პალატა და სწორედ ეს დელეგაციაა ჩამოსული. ამ ჯგუფის წევრების ინტერესში შედის, რომ საქართველოში განახორციელონ ბიზნესი და საქართველოდან გავიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის ყველაზე დიდ პრობლემად საბანკო გადარიცხვები რჩება.

– ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქართულ-ირანული საქმიანი ურთიერთობის განვითარებისთვის. ნებისმიერი მსხვილი კაპიტალდაბანდება, ინვესტიცია იქნება თუ პროექტების განხორციელება, უკავშირდება გამართულ საბანკო სისტემას. საქართველოში საბანკო სისტემა არის კარგად ფუნქციონირებადი, თუმცა პრობლემა არის ის, რომ საერთაშორისო სანქციებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვახერხებთ პირდაპირი ტრანზაქციების განხორციელებას. რა თქმა უნდა, უნდა მოინახოს ალტერნატიული გზები. კარგია, როცა სახელმწიფო ამაზე ფიქრობს, იმიტომ, რომ ორმხრივი ურთიერთობა არის ძალიან მაღალ დონეზე. მისასალმებელია ისიც, რომ ამაზე ღიად მიდის საუბარი. აქამდე ეს არ ხდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო რაღაც გზებს ეძებს პრობლემის მოსაგვარებლად, – განაცხადა ირან-საქართველოს სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა.

ვანო მთვრალაშვილის განმარტებით, ირანში ქართულ კომპანიებს შესვლასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ექმნებათ.

– ირანის ბაზარი არის ძალიან დიდი, ეს არის 80-მილიონიანი ქვეყანა, რომლის ბაზარიც არის უდიდესი და იქ შესვლას ყველა ევროპული ქვეყანა ცდილობს. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენსა და ირანს შორის ასეთი ურთიერთობებია, ქართული კომპანიებიც ინტერესდებიან იქ შესვლით, მაგრამ პრობლემები ექმნებათ. ირანიდან გადამზიდავი კომპანიები უპრობლემოდ შემოდიან, მაგრამ აქედან იქით შესვლაზე ბიუროკრატიულ ბარიერებს აწყდებიან. მინერალური წყლის ქართველი მწარმოებლები მზად არიან შეიტანონ ირანის ბაზარზე პროდუქცია, მაგრამ ვერ ახერხებენ. მიუხედავად ამისა, ბოლო 4 წელიწადია ირან-საქართველოს შორის ურთიერთობები ღრმავდება და იმედი მაქვს, რომ კომპანიებიც მოახერხებენ შესვლას, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

# მეტროსადგური „უნივერსიტეტი" პირველ მგზავრებს რამდენიმე დღეში მიიღებს



თბილისის მეტროპოლიტენის 23-ე მეტროსადგური „უნივერსიტეტი" პირველ მგზავრებს, სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში მიიღებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში განუცხადეს.

როგორც ფონდში აცხადებენ, მეტროსადგურ „უნივერსიტეტში" ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სადგური სატესტო რეჟიმში მუშაობდა და ეს პროცესიც უკვე დასრულდა. მეტროპოლიტენის ტესტირებისთვის ადგილზე უცხოელი სპეციალისტები იმყოფებოდნენ. ამჟამად ახალი მეტროსადგურის თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის გადაცემის პროცედურები მიმდინარეობს და ახალი მეტროსადგური მგზავრებს ოქტომბრის შუა რიცხვებში მიიღებს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, მეტროსადგური „უნივერსიტეტის" ამოქმედება საბურთალოს რაიონში მიწისზედა სატრანსპორტო ნაკადებისა და საცობების შემცირებას შეუწყობს ხელს. მეტროსადგურს ოთხი ამოსასვლელი ექნება და უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი. მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და დაახლოებით, 84 მლნ ლარი დაიხარჯა. მშენებლობა დაახლოებით 20 წლის განმავლობაში დაკონსერვებული იყო.

როგორც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში აცხადებენ, სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა, ესპანურმა კომპანიამ „COBRA ASSIGNA" (კობრა ასიგნიამ) განახორციელა. მეტროსადგურის დიზაინიც ასევე ესპანურ კომპანიას ეკუთვნის.

# კობა ნარჩემაშვილი: „ჩვენ დავძლევთ პრეზიდენტის ვეტოს"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– ბლოკების შექმნა და ბონუსების საკითხი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებშიც არის და უმრავლესობასაც ჰქონდა ამ ცვლილების მზაობა. რა იქნება ახლა?***

– პრეზიდენტმა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომელიც შესაძლებელი იყო მიღებულიყო დღესვე, გადაწია ვადაში დაახლოებით 5-6 თვით.

***– ანუ ეს საკითხი მაინც დადგება დღის წესრიგში?***

– აუცილებლად. ჩვენ ჩვენს პირობას შევასრულებთ და რადგან ვთქვით, რომ ამ რეკომენდაციას ჩვენ ვითვალისწინებთ და ვლებულობთ, ეს იქნება გათვალისწინებული. ოღონდ ახალი ინიციატივით და ახალი პროცედურებით. თუმცა შეეძლო პრეზიდენტს ამ საკითხის მარტივად მოგვარება და ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი კონსტიტუცია მიგვეღო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ამოცანა არ იყო ეს ამბავი, რომ კარგი კონსტიტუცია მიგვეღო. მისთვის ეს პროცედურები უფრო მნიშვნელოვანი იყო. ეს არის პოლიტიკური პინგ-პონგი. სამწუხაროდ, მან ეს გზა აირჩია.

***– უმრავლესობა რატომღაც ყოველთვის პრეზიდენტს ადანაშაულებს და მის დესტრუქციულ როლზე საუბრობს.***

– რაშია, იცით, საქმე? მე ამას არ ვიტყოდი, რომ არ ვიყო მომსწრე ყველა იმ პროცესისა. მე ვერ ვხვდები, რატომ ითქვა უარი პრეზიდენტის მხრიდან, თავიდანვე საკონსტიტუციო პროცესში და კანონშემოქმედების პროცესში მონაწილეობის მიღებაზე. 4-5-თვიანი მუშაობისას, ამ გარედან ლაპარაკს, არ ჯობდა, შიგნით პროცესში ყოფილიყვნენ მისი წარმომადგენლები და მიეღოთ მონაწილეობა ამ ყველაფერში?! და იქვე ყოფილიყო დაფიქსირებული მათი აზრი. როცა ამ ყველაფერზე პრეზიდენტმა უარი თქვა, ამით მან ჩრდილი მიაყენა თვითონ საპრეზიდენტო ინსტიტუტს.

***– იზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ სიტუაციაში პრეზიდენტი აღმოჩნდა მხარე და ის ოპოზიციური აზრის ზეგავლენის ქვეშ მოექცა?***

– ჩემდა სამწუხაროდ, ეს ასეა. ძალიან სამწუხაროა, რომ საპრეზიდენტო მმართველობის ეს ხუთი წელი ასე დამთავრდება. ჩვენ ამ ახალი მოდელით ვიზრუნეთ, რომ ასეთი პრეცედენტები აცილებული იქნას თავიდან, როდესაც პრეზიდენტი მხარეს წარმოადგენს და ის არ არის ზეპარტიული არბიტრი პოლიტიკურ პროცესში.

***– ამბობთ ვიზრუნეთო, თუმცა საუბარია იმის შესახებ, რომ პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე ისე, როგორც თქვენ შეგაქვთ კონსტიტუციაში. ამ მოდელის მიხედვით, პრეზიდენტი ხელისუფლებას დაქვემდებარებული პირი იქნება. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

– აქ არჩევის წესს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც უფლებამოსილებებს. საპარლამენტო მმართველობის პირობებში, როდესაც პრეზიდენტი მისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, აქ პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ ის მხარე იყოს. ვინც კარგად წაიკითხავს კონსტიტუციის ამ პროექტს, ეს საკითხი მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი. პრეზიდენტი თუ კარგად შეასრულებს თავის უფლებამოსილებას, ის მხარე ვერანაირად ვერ იქნება. სწორედ ასეთი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტები ქმნიან ხშირად უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე არაპირდაპირი წესით არჩეულები.

***– ვეტო დაიძლევა?***

– რაღა დაგიმალოთ და დაიძლევა.

# რისთვის ჩავიდა რუმინეთში ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაცია

## სოხუმი: „კატალონიის დამოუკიდებლობას ვაღიარებთ, თუ ამის შესახებ განაცხადებთ"

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა და ყველა ღონეს ხმარობს, რომ აფხაზეთი სხვა წარმონაქმნებმა და სახელმწიფოებმა აღიარონ. ამას ემსახურებოდა ვიზიტი რუმინეთშიც.**

ცხინვალის რეგიონისა და დნესტრისპირეთის თვითმარქვია რესპუბლიკის დელეგაციების გარდა, საქართველოს ამ კონფლიქტურ რეგიონს ზედიზედ ეწვივნენ სირიის ოფიციალური დელეგაცია და ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სერბეთის ეს რესპუბლიკა ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციასთან ერთად შედის ბოსნია-ჰერცეგოვინაში. თბილისში აფხაზურ-სერბულმა ოფიციალურმა დიალოგმა დიდი გაღიზიანება გამოიწვია. საზოგადოებამ დაიწყო მისი სისხლით მონათესავე სერბეთის მძაფრი კრიტიკა და კოსოვოს პრობლემის გახსენება.

აფხაზეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა



სოხუმში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს ბევრ საერთოზე ბოსნიელ სერბებსა და აფხაზებს, სირიელ ხალხსა და აფხაზებს შორის.

რუმინეთის ქალაქ გალიცში გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო კლუბის 25-ე წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

კლუბი არასამთავრობო ორგანიზაციაა და აქვს მეთვალყურის სტატუსი „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის" ორგანიზაციასა და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში.

მისი მიზანია, ხელი შეუწყოს შავი ზღვის აუზის ქალაქებსა და ნავსადგურებს შორის ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, კულტურულ, სპორტულ ურთიერთობებს. სოხუმი მისი წევრია და წესით, ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ქალაქ სოხუმის წარმომადგენლობა უნდა ჩასულიყო.

რუმინეთში წავიდა არა სოხუმის ადმინისტრაცია, არამედ, აფხაზეთის დელეგაცია. ნოტარიალური მინდობილობით იქ ჩავიდა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გენადი გაგულია თანმხლებ პირებთან ერთად.

ეს გაკეთდა „საერთაშორისო" კონტაქტებისთვის. ოკუპირებული აფხაზეთის ეს ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული საგარეო საქმიანობაში და ეკონომიკური თანამშრომლობის აწყობას ცდილობს. ამას, ოკუპირებული რეჟიმის გათვლით, მომავალში აფხაზეთის აღიარება უნდა მოჰყვეს.

დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე აფხაზეთს ცალკე პავილიონი ჰქონდა გამოყოფილი. გაიმართა შეხვედრები სირიის მაღალჩინოსნებთან და დეპუტატებთან. ამის საპასუხოდ სირიის დელეგაცია ცოტა ხნის წინ აფხაზეთს სტუმრობდა.

მხარეებმა დასახეს თანამშრომლობის გაღრმავების გზები. განიხილება კონფლიქტურ რეგიონსა და სირიას შორის ბაჟის გარეშე ვაჭრობის პროექტი.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი მისასვლელ გზებს ესპანეთის კატალონიასთანაც ეძებს. აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს იქ 2014 წლიდან ჰყავს თავისი წარმომადგენელი – ხუსამ კუჟბა. მინისტრი დაურ კოვე მას კატალონიის რეფერენდუმის შემდეგ შეხვდა და აფხაზეთის პოზიტიური იმიჯის შექმნაზე ესაუბრა.

მართალია, დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებას თავად კატალონიის ავტონომია არ ჩქარობს, მაგრამ აფხაზეთში მზად არიან კატალონიის დამოუკიდებლობა ცნონ.

– აფხაზეთი მზადაა, აღიაროს კატალონიის დამოუკიდებლობა. აფხაზეთი ამას გააკეთებს, თუ ამის შესახებ გაცხადდება, – ნათქვამია საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# „საბიუჯეტო შემოსავლების 24% იხარჯება ბიუროკრატიის შესანახად, რაც ზედმეტად მაღალი მაჩვენებელია“




საქართველოს პარლამენტი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ პროექტის განხილვას იწყებს. „ბანკები და ფინანსებმა“-მა საკითხზე სამართლებრივი კომენტარი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტს, გიორგი ლაბაძეს სთხოვა, რომელიც აღნიშნავს, რომ თანამედროვე საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯი პრობლემაა.

გიორგი ლაბაძე, „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტი:

– სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რა ოდენობის ფინანსებია გამოყოფილი მხოლოდ სახელმწიფო აპარატის შრომის ანაზღაურებასა და საქონელსა და მომსახურებაში გასაწევი ხარჯებისთვის. შეგახსენებთ, რომ სულ საქართველოს დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლები, 2017 წლისთვის, შეადგენდა 9.489.460.000 ლარს.

2017 წლისთვის, სრული საბიუჯეტო შემოსავლების, დაახლოებით 24% იხარჯება მხოლოდ ბიუროკრატიის შესანახად, რაც წარმოადგენს ზედმეტად მაღალ მაჩვენებელს. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, მოვიყვანოთ დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ყველაზე გაბერილი ბიუროკრატიის მქონე ქვეყანაში, დანიაში, სახელმწიფო აპარატის სრული ხარჯი შეადგენს ბიუჯეტის 20%-ს, მას მოჰყვებიან ისეთი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები, როგორებიცაა შვედეთი, ფინეთი, 16%-იანი ხარჯებით.

აღნიშნულ კანონში, ბიუჯეტის ასიგნებების ნაწილში, ცალსახად არის მოყვანილი დასაქმებულთა საერთო რიცხვი, რაც შეადგენს 116.757 ადამიანს. გამოდის, რომ 116 757 ადამიანის მომსახურებასა და შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 2.537.780.400 ლარი, ხოლო დანარჩენი განკუთვნილია 3.600.000-ზე მეტი მოქალაქისთვის. ეს მეტად არასამართლიან მიდგომას წარმოადგენს და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის შეცვლას. თუკი ზემოთ მოყვანილ ცხრილს ჩავხედავთ, კიდევ უფრო რთულია გართულებულია ვითარება 2018 წლის გეგმის მიხედვით, რამდენადაც, საერთო ჯამში, დაახლოებით 44 მილიონით არის მომატებული ცენტრალური ხელისუფლების შენახვის ხარჯი.

გასული წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გააკეთა აქცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში ბიუროკრატიული ხარჯის შემცირების აუცილებლობაზე და ერთი შეხედვით, 2016 წელთან შედარებით, შემცირდა კიდეც შრომის ანაზღაურება, თუმცა თუ დავაკვირდებით, მთელი 100 მილიონით მოიმატა საქონლისა და მომსახურებისთვის გაწეულმა ხარჯმა, რაც არათუ შემცირებაზე, არამედ დანახარჯების ზრდაზე მეტყველებს. ეს ტენდენცია, როგორ აღინიშნა, გაგრძელებულია მომავალი წლის გეგმითაც.

ქართულ რეალობაში ეკონომიკა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, რამდენადაც საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობა საკმაოდ ცოტაა და ასეთ რეალობაში სახელმწიფოზე მიბმული მოქალაქეების რიცხვის ზრდა კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს პროდუქტის შექმნის პერსპექტივას. საქართველოს სახელმწიფომ უნდა გაიაზროს, რომ საჯარო სამსახური არ წარმოადგენს სოციალურ პროგრამას. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოხშიროს კადრები და მოქალაქე დაასაქმოს მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე.

მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, რომელიც აგრეთვე ემყარება დასავლურ პრაქტიკას, მიგვაჩნია, რომ არასამართლიანია მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მომსახურებასა და ანაზღაურებას ბიუჯეტის 25% სჭირდებოდეს. ამასთან, მსგავსი მიდგომა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც ცივილიზებულ სახელმწიფოებში მოქმედებს. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საკითხს.

ბიუჯეტის განაწილებასთან დაკავშირებით, ასევე დისკუსიას იწვევს სახელმწიფო თავდაცვისთვის შემცირებული ხარჯები, რამდენადაც იგეგმება შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის 48 მილიონი ლარით შემცირება. ჩვენმა ორგანიზაციამ უკვე წარმოადგინა კვლევა და რეკომენდაციები გუბერნატორის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ფინანსდება პირდაპირ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან და ასევე წარმოადგენს გაბერილი აპარატის ერთ-ერთ მაგალითს მისთვის განკუთვნილი ხარჯებიდან გამომდინარე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში, მომავალი წლის ასიგნებების უფრო მეტი გონივრულობით განაწილება მოახდინოს.

# ვისთვის იქნება დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა სავალდებულო




დღევანდელი მოდელით, დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა მოქალაქეების გარკვეული სეგმენტისთვის სავალდებულო იქნება, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საპენსიო რეფორმის საჯარო განხილვები გარკვეული ფორმით უკვე დაწყებულია.

– უნდა მოხდეს ჯერ საპენსიო რეფორმის ფართომასშტაბიანი საჯარო განხილვები, რომლის პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია. შემდეგ ეს კანონმდებლობა უნდა მოიწონოს მთავრობამ და შემდეგ უნდა შევიდეს პარლამენტში. ეს ყველაფერი მოხდება წლის ბოლომდე. შესაბამისად, საპენსიო რეფორმა დაიწყება მომავალი წლის მესამე კვარტლიდან, – განაცხადა გახარიამ.

რაც შეეხება მოდელს, გახარიას განცხადებით, განხილვები არის იმისთვის, რომ მასში შეიძლება შეიტანონ გარკვეული ცვლილებები, თუმცა დღეის მოდელია 2+2+2, რომლის თანახმადაც, დასაქმებული ყოველთვიურად თავისი ხელფასის 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში, დამსაქმებელი, თავის მხრივ, კიდევ 2%-ს იხდის, 2% სახელმწიფო ბიუჯეტიდან ემატება.

– მოქალაქეების გარკვეული სეგმენტისთვის ეს არის სავალდებულო. გლობალურად რომ შევხედოთ, გამოდის, რომ არის ნაწილობრივ სავალდებულო, – განაცხადა გახარიამ, თუმცა ეს სეგმენტი არ დაუკონკრეტებია და მხოლოდ ის დასძინა, რომ ამის განმსაზღვრელია მოქალაქის ასაკი.

# საკრებულოს რომელი დეპუტატების სარგებლობაში არსებული ავტომობილები გამოიყენება არასამუშაო დანიშნულებით




თბილისის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილები, სავარაუდოდ, მხოლოდ სამსახურებრივი დანიშნულებით არ გამოიყენება. ამის შესახებ IDFI-ს კვლევაშია ნათქვამი.

კვლევის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის სარგებლობაში არსებული ავტომობილი „სი-ტი პარკმა“ 2017 წლის 2 სექტემბერს, შაბათს ისეთ ადგილას დააჯარიმა, რომელსაც, სავარაუდოდ, საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

სავარაუდოდ, არასამუშაო დანიშნულებით გამოყენებული ავტომობილი დედაქალაქის საკრებულოს შემდეგ დეპუტატებზეა განპიროვნებული: გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი ტყემალაძე, მალხაზ მჭედლიშვილი, გიორგი ახვლედიანი, თევდორე კახიძე, გოჩა ბაბუნაშვილი, ლევან დარახველიძე, ელენე დუმბაძე, მამუკა ახვლედიანი, გულიკო ზუმბაძე, შორენა ბუხრაშვილი, ვლადიმერ ძნელაძე, თამარ ტალიაშვილი, ავთანდილ დავითაძე, ჯაბა სამუშია, ირაკლი ნადირაძე, გიორგი მუსხელიშვილი, ნუგზარ მალაღურიძე, ნულია ჯავხელაძე და ზაზა ვეკუა.

აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი ავტომობილების გამოყენებასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციები დეტალურად ვერ აწესრიგებს არა სამსახურეობრივ დროს სახელმწიფო ავტომანქანების გამოყენების წესებს, მათ შორის, ქალაქ თბილისში. ამ კუთხით არსებული აქტები არ შეიცავს ავტომობილების არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების პრევენციის მექანიზმებს და მათი მთავარი დანიშნულება ავტომანქანების და საწვავის ლიმიტების განაწილებაა.

# მუშაობს თუ არა პარლამენტი ანტიდემპინგურ კანონპროექტზე?



დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ეკონომიკის მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებას კომერსანტთან ეხმაურება. როგორც ცნობილია, დღეს მინისტრმა ანტიდემპინგური კანონპროექტის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის მთლად სასარგებლო არ არის.

– ანტიდემპინგური კანონმდებლობა პარლამენტში კონკრეტულად რომ განიხილებოდეს, არ მსმენია. ამ კანონმდებლობაზე საუბარი ოთხი წელია მიდის. ეს გულისხმობს ფასების კონტროლს, რაც ჩვენს მსგავს, პატარა და ღია ეკონომიკაში, რომ გითხრათ, მთლად სასარგებლო იყოს, ალბათ, არა, – განაცხადა გახარიამ.

„კომერსანტთან“ საუბრისას რომან კაკულია განმარტავს, რომ გიორგი გახარიას კომენტარი, სავარაუდოდ, იმ ტრადიციულმა გაუგებრობამ გამოიწვია, რომელიც, როგორც წესი, ხშირად არსებობს. მისი განცხადებით, სხვადასხვა რამ არის პარლამენტში საკითხის განხილვა და პარლამენტის შენობაში რაიმე საკითხის ირგვლივ მუშაობა. კაკულიას განცხადებით, ეს ერთმანეთისგან განსხვავებული ორი მოცემულობაა.

– დღეს არის ანტიდემპინგური კანონმდებლობის ირგვლივ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა. მე როდესაც პარლამენტში მოვედი, ჩემს კომიტეტს ეს კანონპროექტი მემკვიდრეობით დახვდა. არსებობდა რამდენიმე მოცემულობა – მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რასაც ძირითადად ჟურნალისტები გამოხატავდნენ. ამიტომ ჩავთვალე, რომ ჟურნალისტები საზოგადოების აზრს გამოხატავენ და ამ კანონპროექტის მიმართ ინტერესი არსებობს. არსებობდა მეორე მოცემულობა – ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ იმაზე, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) ძალიან მნიშვნელოვანია და ეს კვალიფიკაცია მოსაგროვებელია როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში. არსებობდაUSAID-ის დონორების შემოთავაზება, რომელიც გულისხმობდა კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობასRIA-სთან დაკავშირებით. ეს სამი მოცემულობა ერთმანეთთან დავაკავშირე და ავირჩიე ის კანონპროექტი, რომელზეც გადაწყვეტილების მიღება ასე საჩქარო არ იყო. ჩემი ძირითადი მიზანი იყო, რომ RIA-ს კვალიფიკაციის დაგროვება ჩემს კომიტეტში ამ კანონპროექტთან დაკავშირებით გამეკეთებინა, თანაც გამევლო სწორი პროცესი, ანუ ჯერ გვქონოდა ღlჲ და მერე მიგველო გადაწყვეტილება, უნდა დაწერილიყო თუ არა კანონპროექტი.

ეს პროცესი მიმდინარეობს USAID-ისGGI-ის პროექტის ფარგლებში. ეს შეხვედრა გაიმართება დღეს პარლამენტის შენობაში. არავითარი საპარლამენტო განხილვა საპარლამენტო ფორმატში არ ხდება. ეს არის სამუშაო შეხვედრა, რომელიც ჩემს კაბინეტში მიმდინარეობს და ალბათ, ჟურნალისტებმა აქედან გამომდინარე დაუსვეს ბატონ გიორგის კითხვა, – აცხადებს კაკულია.

მისივე განცხადებით, თუ ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია უკვე ჩამოყალიბებულია ამასთან დაკავშირებით და ეს მისი პოზიციაა, ძალიან კარგია. კაკულიას განცხადებით, შესაძლოა, მასაც ეს პოზიცია ჰქონდეს. კერძოდ, მისი თქმით, იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ამდენი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს ამდენ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან, რა თქმა უნდა, არსებობს ლოგიკური ლეგიტიმური მოთხოვნილება იმაზე, რომ ეს ვაჭრობა სამართლიანი იყოს. მეორე მხრივ, ის კვალიფიკაცია, ის რესურსები და ის ინსტიტუცია, რომელიც რეალურად აღმოაჩენს დემპინგს და შემდეგ შესაძლო ღონისძიებებს გაატარებს, სხვა ხარჯებთან და კვალიფიკაციასთან არის დაკავშირებული.

– ისეთი კანონი მიიღო, რომელიც არ იმუშავებს, არავითარი აზრი არ აქვს. მეორე მხრივ, დიდი მინიშნებები და ასეთი ტიპის პრეტენზიები პრინციპში არ არსებობს. მესამე – ეს ინვესტორებისთვის მეტ-ნაკლებად მაინც შემზღუდავ ღონისძიებად აღიქმება. ყველა ეს არგუმენტი სასწორზე დევს და სენსიტიურია. ამ ყველაფრის გაანალიზება ვთხოვე მე სამუშაო ჯგუფს. უბრალოდ, პოზიციის ჩამოყალიბების პროცესი მინდოდა სხვანაირად გამევლო და ერთმანეთისთვის შემეთავაზებინაRIA-ს გამოცდილების დაგროვებისა და ამ საკითხზე ინფორმირებული არჩევანის ჩამოყალიბების პროცესი, – აცხადებს კაკულია.

მისივე განმარტებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასება, ეს არის ტრადიციული, ევროპული პრაქტიკა, ანალიზისა იმ იდეის, რომელსაც შემდეგ უნდა მოჰყვეს კანონპროექტის ჩამოყალიბება.

– ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთი გამოწვევა არის სწორედ RIA-ს გათვალისწინებით მიღებული ინიციატივები, – აცხადებს კაკულია.

შეგახსენებთ, რომ მთავრობამ ანტიდემპინგურ კანონპროექტზე მუშაობა 2015 წელს დაასრულა. დაანონსებული იყო, რომ მისი ამოქმედება ამავე წლის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, თუმცა დღემდე მისი მიღება არ მომხდარა.

# „2016 წელს თბილისის საკრებულომ საწვავის მოხმარებაზე 193,988 ლარი დახარჯა“



50-წევრიან თბილისის საკრებულოს ჯამში 35 მანქანა ემსახურება. ამის შესახებ ინფორმაციას „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) ავრცელებს.

მათივე ცნობით, ავტომობილები საკრებულოს წევრებზე მათი თანამდებობის შესაბამისად (საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეები) არის განპიროვნებული. კერძოდ, 31 ავტომობილი საკრებულოს წევრ დეპუტატებს პერსონალურად ემსახურება, ხოლო დანარჩენი 4 კი საერთო დანიშნულებით გამოიყენება.

რაც შეეხება ავტომობილების განკარგვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს, 2016 წელს საკრებულომ საწვავის მოხმარებაზე 193,988 ლარი დახარჯა. ასევე, საკრებულოში ჯამში 35 მძღოლია დასაქმებული, რომელთა ხელფასი ყოველთვიურად 1,000 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ავტომობილების ნაწილი, 3 ავტომობილი საკრებულოს მერიამ გადასცა, ხოლო დანარჩენი საკრებულომ ძირითადად 2011-2013 წლებში, ხოლო ერთი ავტომობილი 2009 წელს შეიძინა.

# ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატის უფლებები კონსტიტუციის დონეზე ავიყვანეთ“

გულიკო ბალაძე



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ჩვენს პირობებში მიაღწიეს იმას, რომ ადვოკატის უფლებების დაცვა მოხდეს კონსტიტუციის დონეზე. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ადვოკატის უფლებების დაცვა გარანტირებულია კანონით. თუმცა, ხუთი წლის განმავლობაში ერთი ადვოკატის მიმართაც კი ვერ მიაღწია დარღვეული სამართლიანობის აღდგენას, რის გამოც იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს აკრიტიკებს.

ევროპის მილიონ ადვოკატთა შორის ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭომ ადვოკატთა უფლებების დაცვისთვის ზაზა ხატიაშვილი წლის უფლებადამცველად დაასახელა და 24 ნოემბერს ბრიუსელში დააჯილდოებენ.

***– ბატონო ზაზა, ადვოკატთა უფლებების შესახებ კონსტიტუციის ცვლილებების ჩანაწერის გამო ზოგი ადვოკატი კმაყოფილია, ზოგს კი არ მოსწონს ჩანაწერი. თქვენი პოზიცია როგორია?***

– ადვოკატთა ასოციაციას 4.700 წევრი ჰყავს. მათი 99% ფიქრობს, რომ ჩანაწერი პროგრესულია. შეიძლება 1% ამბობს, რომ კარგი ჩანაწერი არ არის.

***– უკმაყოფილებას რა იწვევს, მეტი უფლებებია საჭიროო?***

– არა, მეტი არ არსებობს. 1%-ს უნდა, წინასაარჩევნოდ ქულები დაიწეროს. 8 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებია. ეს ცვლილებები დავით ასათიანის სახელს უკავშირდება, ბატონი დავით ასათიანი იყო ჩვენი წარდგენილი, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი საკონსტიტუციო კომისიაში. ვინაიდან დავით ასათიანი არის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატი, მისი მოწინააღმდეგეები ცდილობენ, ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც მან ადვოკატთა კორპუსს გაუკეთა და საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთ დიდ მიღწევად დარჩება ადვოკატთა ასოციაციის არსებობის ისტორიაში, რაღაცნაირად გააუფერულონ.

***– დიდ მიღწევად აფასებთ?***

– მსოფლიოში ვართ ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც ადვოკატთა დაცვის გარანტიები და ადვოკატის უფლებები კონსტიტუციის დონეზე აიყვანა.

***– მთავარი რა არის, რასაც თქვენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?***

– მთავარი არის ის, რომ ადვოკატის უფლებების დაცვა მოხდა კონსტიტუციის დონეზე. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ადვოკატის უფლებების დაცვა გარანტირებულია კანონით. ასევე კანონში შევიდა ცვლილება და ადვოკატის დაცულობის ხარისხი ამაღლდა. ამისთვის 7 წელი ვიბრძოდი. ამ საკითხზე თქვენ „ახალ თაობაში“ რამდენიმე ინტერვიუ გაქვთ გამოქვეყნებული. რაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გავხდი, ვიბრძოდი იმისათვის, რომ ამაღლებულიყო ადვოკატთა დაცვის ხარისხი, ადვოკატთა დაცვის ხარისხი გათანაბრებოდა მოსამართლეთა დაცვის ხარისხს.

***– როგორ გაუთანაბრდა?***

– როგორც მოსამართლისა და პროკურორისთვის ხელის შეშლა არის სისხლის სამართლის დანაშაული, ასევე ადვოკატის საქმიანობაში ხელის შეშლა არის სისხლის სამართლის დანაშაული. ეს არის ისეთი მიღწევა, რომელზეც ბევრი ოცნებობდა, მაგრამ ზაზა ხატიაშვილმა გააკეთა. დავით ასათიანმა ეს კონსტიტუციის დონეზე აიყვანა. ადვოკატთა შესახებ კანონში ცვლილებები შედის, სადაც გაეროს კონვენციით დადგენილი უფლებები მთლიანად გადმოდის ადვოკატთა შესახებ კანონში. ეს არის გრანდიოზული მიღწევა. ამაში დაგვეხმარა ქალბატონი ეკა ბესელია და ჩვენი ადვოკატები, რომლებიც არიან პარლამენტში.

ჩვენ მოვითხოვეთ, გაეროს ადვოკატთა როლის შესახებ პრინციპები, რომლებიც გაერომ 1990 წელს კუბის ქალაქ ჰავანაში მიიღო, ჩვენს კანონშიც ასახულიყო. ჩვენ ავსახეთ ყველა საერთაშორისო დოკუმენტი ჩვენს კანონში. ეს არის უნიკალური დოკუმენტი, რომლის ანალოგია ევროპის ქვეყნებში თითზე ჩამოსათვლელია. ჩვენი კანონი აჯობებს საფრანგეთის ადვოკატთა შესახებ კანონს. საფრანგეთისა სჯობს გერმანიისას. როცა კანონში ცვლილებები შევა, უნიკალური კანონი გვექნება. ადვოკატთა უფლებების დაცვაზე მორგებული კანონი იქნება და ადვოკატთა ასოციაციის აბსოლუტური თვითმმართველობა, რაც ძალიან ბევრი ქვეყნის ადვოკატებისთვის დიდი ოცნებაა, ევროპული ქვეყნებისთვის, ევროკავშირის ბევრი ქვეყნებისთვის ძალიან დიდი ოცნებაა.

***– თქვენ ცდილობდით ადვოკატთა უფლებების დაცვას. შეგიძლიათ თქვათ, რომ საწადელს მიაღწიეთ?***

– დიახ, ადვოკატთა უფლებების დაცვას ვცდილობდი და მივაღწიე კიდეც.

***– ევროპელი ადვოკატები ზაზა ხატიაშვილს აჯილდოებენო, მართალია?***

– დიახ, 24 ნოემბერს ბრიუსელში მილიონ ადვოკატთა შორის ერთადერთი მე მაჯილდოებენ, როგორც წლის ადვოკატთა უფლებადამცველს. ეს არის სასწაული, რომელიც იშვიათად ხდება.

***– გილოცავ. წელს რა იყო მთავარი, რისთვისაც წლის უფლებადამცველის ტიტული უნდა მოგენიჭოთ?***

– ეს არის ჩემი 7-წლიანი ბრძოლის შედეგი. ასეთ ტიტულს ერთწლიანი ბრძოლისთვის არ აძლევენ. მინიმუმ ხუთი წელი უნდა იყო ადვოკატთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე.

***– ვინ წარგადგინათ?***

– ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭოში, რომელშიც გაერთიანებულია მილიონი ევროპელი ადვოკატი, წარმადგინა პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციამ. ვაცლავ ჰაველი იყო ჩემი მოწინააღმდეგე. მე მივიღე ხმების 90%, მან კი – 10%.

***– ადვოკატთა უფლებების დაცვა თქვენი პრიორიტეტი იყო ყოველთვის.***

– ადვოკატთა უფლებების დაცვა ჩემთვის პრიორიტეტად დარჩება ყოველთვის. მოვითხოვ, სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული და ამ ხელისუფლების პირობებში გაორმაგებულ ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე მოხდეს ეფექტური გამოძიება და დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომლებიც საქართველოს არცხვენენ. ყველამ უნდა იბრძოლოს. მარტო ზაზა ხატიაშვილი საკმარისი არ არის, რომ წამება დამთავრდეს, ჩადება დამთავრდეს, გაუპატიურებები დამთავრდეს.

***– არ დამთავრდა?***

– არ დამთავრდა.

***– გაუპატიურებები კიდევ ხდება?***

– გაუპატიურებაზე ზოგადად ვთქვი.

***– თუ მოხდა იმ დარღვევების ხელახალი გამოძიება, რომლებიც ადვოკატების მიმართ იყო სააკაშვილის დროს?***

– ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა და თეა წულუკიანი დაინიშნა იუსტიციის მინისტრად და გენპროკურორად, მე ვთხოვე ევროსაბჭოს ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭოს პრეზიდენტ მარსელა ბრასელს და თეა წულუკიანის სახელზე წერილი გამოვაგზავნინე ირინა სალინაძის დაკავების ფაქტზე, რომელსაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სცემეს და დაემუქრნენ სქესობრივი ძალადობით. მიუნხენში ჩავედი და იქიდან მარსელა ბრასელს წერილი გამოვაგზავნინე, რომელიც ერთ კვირაში წულუკიანის მაგიდაზე იდო. ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო, მაგრამ მარსელა ბრასელის წერილი იუსტიციის სამინისტროში დამალეს. წერილი ვთარგმნე და მივიტანე, მაგრამ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიება მაინც არ ჩატარდა, მით უმეტეს, რომ დოკუმენტურად დასტურდებოდა პატიმრობის ადგილას ადვოკატის ცემის ფაქტი. ის მე და ქეთევან ბექაურმა ექსპერტიზაზე წავიყვანეთ და ცემის ფაქტი დადასტურდა. ამით ახალი ხელისუფლება სააკაშვილის რეჟიმის საშინელებების გამპრავებლად იქცა, რომელიც ადვოკატების მიმართ ახალი ძალადობის საფუძვლად შეიძლება იქცეს. ირინა სალინაძის უფლებების დარღვევის ფაქტზე ადამიანების დასჯა მინდოდა იმიტომ, რომ ასეთი ფაქტები აღარასოდეს მომხდარიყო.

## შსს-მ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა, რომელმაც ბადრაგირების დროს გაქცევა მოახერხა.

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა 2017 წლის 14 ივნისიდან ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით ძებნილი, 1992 წელს დაბადებული ბ.კ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა, თანამზრახველებთან ერთად, 2017 წლის 14 ივნისს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, მოქალაქე დავით როსტომაშვილზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა.

ბ.კ.-მ, თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე, ბადრაგირების დროს, გაქცევა მოახერხა.

ამჟამად დაკავებული ბ.კ. მე-8 პენიტენციარულ დაწესებულებაშია შესახლებული.

ამავე ყაჩაღობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით, ასევე, დაკავებულია 1991 წელს დაბადებული ზ. ქ. და 1988 წელს დაბადებული ა.ა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## შავ ზღვაში ფეკალური წყლების ჩაღვრის 3 ფაქტი გამოვლინდა



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების 3 ფაქტი გამოავლინეს.

მალტისა და მარშალის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავმა გემებმა – ფოთის, ხოლო ხორვატიის დროში ქვეშ მცურავმა გემმა, სუფსის ნავსადგურში, სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაღვარეს.

გემის კაპიტანს 65.000 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქცია დაეკისრათ, რასაც დაემატება გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხა.

გემები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული საჯარიმო სანქციებისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ დატოვებენ.

## გიორგი ჯაოშვილი: „იმედი“ ნოტარიუსთან 420.000 ლარად დამათმობინეს“



– „იმედი“ ნოტარიუსთან 420.000 ლარად დამათმობინეს, მაშინ როდესაც ტელევიზიის ღირებულება, აუდიტის შეფასებით, დაახლოებით 45 მილიონი დოლარი იყო.

ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და ერთ-ერთმა მეწილემ გიორგი ჯაოშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ 7 ნოემბრისა და რიყის პარკის საკითხზე სასამართლო პროცესზე განაცხადა, სადაც ბრალდებულები ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები არიან.

გიორგი ჯაოშვილმა სასამართლო დარბაზში ის მოვლენები გაიხსენა, თუ როგორ დაათმობინეს თავდაპირველად წილები, ხოლო მოგვიანებით აიძულეს, რომ სამეთვალყურეო საბჭოდანაც წასულიყო. კერძოდ, გიორგი ჯაოშვილმა გაიხსენა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში თუ როგორ შეეხმიანა მას პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეი, როგორ წავიდნენ ისინი სანოტარო ბიუროში და როგორ მოხდა იძულების წესით ქონების დათმობა ჯოზეფ ქეის სასარგებლოდ. სანაცვლოდ გიორგი ჯაოშვილის მტკიცებით, მას შესთავაზეს თანხა 420 ათასი ლარის ოდენობით.

ჯაოშვილის თქმით, მას ნოტარიუსთან მისცეს საბუთი, სადაც ეწერა, რომ ის ჯოზეფ ქეის უთმობდა წილს.

– მე ავუხსენი მათ, რომ ამის უფლება არ მქონდა, რადგან ქონება დაყადაღებული იყო. თუმცა რამდენიმე საათში მოიტანეს დოკუმენტი, სადაც ყადაღის მოხსნის თაობაზე იყო საუბარი. ამის შემდეგ ისინი ფსიქოლოგიურად ახდენდნენ ზემოქმედებას, რათა ხელი მომეწერა. მე გადავწყვიტე, მოვაწერდი ხელს, ხოლო შემდეგ შევხვდებოდი საბჭოს, რომელიც გააკეთებდა ხელმოწერის ანულირებას, რადგანაც მათ გარეშე მე არ მქონდა უფლება კომპანიის დათმობის. თუმცა ცოტა ხანში მათ დამიბარეს პროკურატურაში, სადაც ამიხსნეს და მითხრეს, რომ კომპანიის ხელმძღვანელი თანამდებობიდან უნდა გადავმდგარიყავი. ახსენეს ჩემი შვილის საკითხიც, რის შემდეგაც საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მომეწერა განცხადებაზე ხელი, – განაცხადა გიორგი ჯაოშვილმა.

ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთმა მეწილემ მთაწმინდის პარკის საკითხზეც ისაუბრა. გიორგი ჯაოშვილის თქმით, ის პარკის დირექტორი იყო. ჯაოშვილის თქმით, თბილისის მერიამ თავდაპირველად საიჯარო გადასახადი გაუზარდა პარკს, რაც დაუსაბუთებლად მოხდა, ასევე უსამართლოდ 7 ნოემბერს პარკის ტერიტორიაზე შევიდა სპეცრაზმი.

აღნიშნულ სასამართლო პროცესზე ბრალდებულები არიან: მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და დავით კეზერაშვილი.

## დედოფლისწყაროში ავარიას ორი ახალგაზრდა ემსხვერპლა



კახეთში, დედოფლისწყაროში, გზატკეცილზე გაჩერებულ სატვირთო ავტომობილს „ფორდ ტრანზიტი“ შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ორი ახალგაზრდა მამაკაცი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს.




## თელავში ერთ-ერთ კაფეში 27 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

თელავში, ერთ-ერთ კაფეში 27 წლამდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცმა თავი მოიკლა.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

# ერდოღანი: თურქეთი ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს!

## კიევში თურქეთის პრეზიდენტი ჩავიდა

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი კიევს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. ბი-ბი-სი-ს ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ცოტა ხნის წინ ერდოღანმა თავის რეზიდენციაში პუტინი მიიღო. ყველა რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობაზე ალაპარაკდა. მეტიც, ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ თურქეთი სირიაში აშშ-ის მფარველობის ქვეშ მყოფ ძალებზე (არაბები, ქურთები) შეტევას განახორციელებდა. ერდოღანის ვიზიტმა კიევში მართლაც უდიდესი გაოცება გამოიწვია. რუსეთი და უკრაინა ხომ ომის მდგომარეობაში იმყოფებიან.

ერდოღანს კიევში საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. პოროშენკო და ერდოღანი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მოლაპარაკებები 45 წუთს უნდა გაგრძელებულიყო, სინამდვილეში კი 3 საათს გასტანა. უკრაინა-თურქეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ მათ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება.

პრესკონფერენციაზე პოროშენკომ განაცხადა, რომ ხელი მოეწერა 9-მდე შეთანხმებას, მათ შორის შეთანხმებას სამხედრო-ტექნიკურ სფეროში. პოროშენკომ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ შეხვედრაზე ყირიმის საკითხიც იქნა წამოწეული.

– თურქეთი ყირიმს უკრაინის განუყოფელ ნაწილად ცნობს. ჩვენ განვიხილეთ ნახევარკუნძულის ძირძველი მოსახლეობის, თათრების საკითხი. აღინიშნა, რომ რუსი ოკუპანტები ყირიმელი თათრების უფლებებს უხეშად არღვევენ, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინისა და თურქეთის პრეზიდენტებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება ყირიმში ადამიანის უფლებების დარღვევისა და ყირიმელი თათრების მიმართ განხორციელებული დევნა-შევიწროების შესახებ.



უკრაინის პრეზიდენტმა დაამატა, რომ თურქეთი იმ ქვეყნების ჯგუფს შეუერთდება, რომლებსაც უკრაინის მეგობრებს უწოდებენ და ყირიმის დეოკუპაციის პროცესში ჩაერთვება. უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თურქეთი დონბასში გაეროს სამშვიდობოების განთავსებაში მხარს დაუჭერს უკრაინას.

ერდოღანმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ თურქეთი უკრაინას უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს, მის ტერიტორიულ მთლიანობასაც უყოყმანოდ ცნობს.

– თურქეთი ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს! – თქვა ერდოღანმა.

# დეპუტატ ვორონენკოვის მკვლელობა მისი ცოლის პირველმა ქმარმა შეუკვეთა

უკრაინელმა ძალოვნებმა რუსეთის დუმის ექსდეპუტატ დენის ვორონენკოვის მკვლელობა გახსნეს. ამის თაობაზე უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ განაცხადა.

ვორონენკოვი რუსეთიდან უკრაინაში გაიქცა. ის კიევში, ქალაქის ცენტრში, ქილერის ტყვიის წერა გახდა.

ლუცენკომ განაცხადა, რომ ვორონენკოვის მკვლელობაში მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. მათი უმრავლესობა უკრაინის მოქალაქეა. შემკვეთი მისი მეუღლის, ოპერის მსახიობ მარია მაქსაკოვას, პირველი ქმარი და კრიმინალური ავტორიტეტი ტიურინია. ლუცენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ტიურინი რუსეთის ფსბ-ს კონტროლქვეშ იმყოფება. ტიურინი მხოლოდ შემსრულებელია და მის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან.



– ვორონენკოვმა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებზე ბევრი პიკანტური დეტალი იცოდა. რუსეთმაც საშიში მოწმე მოიშორა, – ამბობს ლუცენკო.

რუსეთის დუმის ყოფილი დეპუტატი ილია პონომარიოვი, რომელთანაც განსვენებული ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა, აცხადებს, რომ ტიურინის უკან ფსბ-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ფეოკლისტოვი დგას. ვორონენკოვი მასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო დაპირისპირებული. ამას გარდა, ყოფილი დეპუტატი იანუკოვიჩის საქმეში მთავარი მოწმე გახლდათ.

– ვორონენკოვის მკვლელობით ფეოკლისტოვმა ორი კურდღელი მოკლა: თავის მტერსაც გაუსწორდა და იანუკოვიჩის საქმეში მთავარი მოწმეც სამუდამოდ დაადუმა, – ამბობს პონომარიოვი.

# ბერლინში ნემცოვის ხსოვნის ფორუმი გაიხსნა

მოსკოვში ბორის ნემცოვის ხსოვნის დღე აღნიშნეს. იმ ადგილას, სადაც ნემცოვი დაიღუპა, ყვავილები დააწყვეს. ნემცოვის ხსოვნის აღმნიშვნელი აქციები პეტერბურგსა და ბერლინშიც გაიმართა.

– ბორის ნემცოვი პუტინის რეჟიმის მსხვერპლია. ადრე თუ გვიან პუტინი ამაზე პასუხს აგებს, – აცხადებდნენ აქციის მონაწილენი.

გერმანიის დედაქალაქში კი ნემცოვის ხსოვნის აღმნიშვნელი ორდღიანი ფორუმი გაიხსნა. მასზე სიტყვით ნემცოვის ქალიშვილი ჟანა გამოვიდა.

– პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ კონკრეტული ტაქტიკის შემუშავებაა აუცილებელი. ეს რეჟიმი უკვე საფრთხეს მთელ კაცობრიობას უქმნის, – თქვა ჟანა ნემცოვამ.






# რუმინეთში ნატოს კიდევ ერთი ბრიგადა იქნება

რუმინეთში ნატოს კიდევ ერთი ბრიგადა განთავსდება. მასში შევლენ რუმინელი, იტალიელი, კანადელი, გერმანელი ჯარისკაცები.

– ეს რუსეთის განეიტრალებისთვისაა აუცილებელი, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

რუმინეთის პრეზიდენტმა იოჰანესმა აღნიშნა, რომ რუმინეთს რუსეთთან კონფრონტაცია არ სურს, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა აიძულებს, საკუთარი უსაფრთხოება დაიცვას.

– სამწუხაროდ, რუმინეთს სხვა არჩევანი აღარ დარჩა, – ამბობს იოჰანესი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ფეხბურთელი ძარცვის დროს ჩაცხრილეს

კოტ დ'ივუარის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჟორჟ გრიფიტსი ქალაქ აბიჟანის გარეუბანში ძარცვის დროს მოკლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

საღამოს, დაახლოებით შვიდ საათზე, დამნაშავეები შეეცადნენ, მისი მერსედესის მარკის მანქანა გაეტაცებინათ. ერთ-ერთმა მათგანმა გრიფიტს ორჯერ ესროლა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

27 წლის თავდამსხმელის ბოლო კლუბი უნგრული „დიოშდიორი" იყო. მიმდინარე წლის ივნისში ის თავისუფალი აგენტი გახდა და მას შემდეგ არსად უთამაშია. ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გრიფიტსმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი ბურთი გაიტანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### შევისყიდით წიგნებს!

● ბუკინისტური მაღაზია „არსი" შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

### გთავაზობთ სამსახურს

● წიგნის მაღაზია „არსს" ესაჭიროება გამყიდველი ქუჩაში, მაღაზიის წინ. მისამართი: რუსთაველის გამზირი №16. ტელ: 557-64-67-60.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები". კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურადსუფთაპროდუქციაოზონატორიარის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველომ სერბეთში იბრძოლა და წააგო

**სერბეთი-საქართველო 1:0**

**ბელგრადი. რაიკო მიტიჩი**

**1:0 პრიიოვიჩი (74)**

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, რუკავინა, გუდელი, ივანოვიჩი, მიტროვიჩი (მილივოიევიჩი 76), ტადიჩი (კოსტიჩი 89), კოლაროვი, ტოშიჩი, მაქსიმოვიჩი, მატიჩი, ლიაიჩი (პრიიოვიჩი 61)

**საქართველო:** მაკარიძე, ხოჭოლავა, კაშია, კანკავა, ყაზაიშვილი, ქვილითაია (მერებაშვილი 78), გვილია, აბურჯანია (დვალიშვილი 82), ჯიღაური (ჰუფნაგელი 86), კაკაბაძე, ნავალოვსკი

ბოლო ტურის წინ ყველაფერი სერბების ხელში იყო. მთავარია, საქართველოს ნაკრებისთვის მოეგოთ და რუსეთში გასამართი მუნდიალის საგზური გარანტირებული ჰქონდათ. სლობოდან მუსლინის გუნდმა ეს ამოცანა შეასრულა, მაგრამ დიდი ჯაფით. პირველი ტაიმი ქართველებმა კარგად ჩაატარეს და მასპინძლებს საქმე გაურთულეს. თუმცა, შესვენების შემდეგ „თეთრი არწივები“ სხვაგვარად ათამაშდნენ და გიორგი მაკარიძის კართან ხიფათი მრავლად შეიქმნა. იმუშავა მუსლინის შეცვლამ და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

ვლადიმირ ვაისმა რაც მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თქვა, ზუსტად გამოხატა სასტარტო შემადგენლობაში და 4 ცვლილება განახორციელა. გიორგი ლორიას ნაცვლად კარს გიორგი მაკარიძე იცავდა, დაცვაში სოლომონ კვერკველია დავით ხოჭოლავათი ჩაანაცვლა, 2 ცვლილება კი ნახევარდაცვას შეეხო: ნიკა კვეკვესკირის ნაცვლად მოედანზე გიორგი აბურჯანია გამოჩნდა, ხოლო გიორგი მერებაშვილის ადგილი ჯაბა ჯიღაურმა დაიკავა.

გულშემატკივრებით შეგულიანებულმა სერბებმა ჩვენებს თავიდანვე შემოუტიეს და კოლაროვმა შორიდან მოსინჯა გატანა, მაგრამ არცთუ ძლიერი დარტყმა მაკარიძის იოლი ნადავლი გახდა. ეს იყო და ეს – ჩვენებმა ბურთი დაიჭირეს, კარგად აკონტროლებდნენ და სულაც არ ჰგავდნენ მეორე ნომრად მოთამაშე გუნდს.



მე-11 წუთზე მასპინძლებმა მწვავედ შემოგვიტიეს, სამმა ფეხბურთელმა ბურთი კარგად გაითამაშა, ბოლო პასი მცველისგან მიდიოდა შემტევს, მაგრამ კანკავამ ჩამოასწრო დაცვაში და ვარდნაში ააცალა ბურთი მიტროვიჩს.

საპასუხოდ გვილიამ ორჯერ დაარტყა კარში: პირველ ჯერზე ბურთი კარს ასცდა, ხოლო შემდეგ სტოიკოვიჩმა მოიგერია. იქვე ჯიღაურმა დაარტყა თავით, მაგრამ – არაზუსტად.

20 წუთის შემდეგ სერბებმა ოდნავ მოუმატეს და ლიაიჩს ჰქონდა ნახევრადმომენტი, როდესაც კარგ პოზიციაში მყოფმა ბურთი ვერ დაამუშავა. თუმცა, ჩვენები დაცვაში არ ჩამსხდარან. მეტიც, ქართველთა შეტევები უფრო მწვავე იყო – ჯიღაურმა და კაკაბაძემ კარში დაარტყეს, ქვილითაიაც ამწვავებდა, მაგრამ დარტყმამდე არ მიიყვანა საქმე.

მე-40 წუთზე გადავრჩით: დუშან ტადიჩი გაეპარათ მცველებს, მაგრამ მისი მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მაკარიძემ მოიგერია.

მეორე ტაიმი სერბებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს და ხიფათიც შექმნეს, მაგრამ შეტევაში ჩართული ივანოვიჩის გამჭოლი პასი მაკარიძემ არ მიუშვა მიტროვიჩამდე. სერბები დაწოლას აძლიერებდნენ და კიდევ ერთხელ გადავრჩით, ამჯერად მიტროვიჩამდე ბურთი მივიდა და მისი მძლავრი თავური დარტყმის შემდეგ გვიხსნა მაკარიძემ. შემდეგ კანკავამ გადაგვარჩინა, როდესაც ქართველთა კარისკენ მიმავალი ბურთი გამოიტანა. არადა, მრგვალი სფერო დაუცველ კუთხეში მიდიოდა. მიტროვიჩი კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ქვეშ – ამჯერად ახლო მანძილიდან ურტყამდა თავით და კარს გადააცილა.

და მაინც სერბეთმა გაგვიტანა: ივანოვიჩმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზიდან, თითქმის მთელი მოედანი გადასერა, მიტროვიჩი მოძებნა, მანაც პასი საჯარიმოში და შეცვლაზე შესულმა პრიიოვიჩმა გახსნა ანგარიში 1:0.

ყაზაიშვილს იქვე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. დარჩენილ დროში არც შეცვლებმა გვიშველა და სერბებმაც მშვიდად მიიყვანეს საქმე ბოლომდე, რომლისთვის მთელი შესარჩევი ეტაპის მანძილზე იბრძოდნენ – საფინალო სასტვენი და ფეიერვერკი ერთად გაისმა.

# აია უდანაკარგოდ ლიდერობს

**არმაზი-აია 10:30**

აიამ სტატისტიკა არ გაიფუჭა და წლევანდელ სეზონში ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონატის ლიდერი არმაზს თბილისში ეწვია, 30:10 სძლია და ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც თამაში არ წაუგია. ამასთან, აია ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში ბონუს-ქულა არ აუღია, მაგრამ ჩემპიონატს მაინც დამაჯერებლად ლიდერობს.

მასპინძლები გიორგი ბაბუნაშვილის ჯარიმით დებიუტშივე დაწინაურდნენ. შემდეგ გუნდებმა გაცუდებული ჯარიმები გაცვალეს. მე-14 წუთზე კი ქუთაისელებმა უპირატესობა გაზარდეს: სწრაფი, ხელდახელ შეტევის შედეგად გიორგი აბრამიძე მცველებს შორის გაძვრა და ბაბუნაშვილმა გარდასახა.

25-ე წუთზე ჯინჭველაშვილმა ჯარიმით სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ სტუმრებმა მალევე ლელოთი უპასუხეს: ჟორჟ სალდაძემ ხაზი გაარღვია და ცენტრიდან მეტოქის 22-ის სიღრმემდე ირბინა, იერიში მარჯვენა ფლანგზე გაიშალა და თემურ ირემაძის ლელოს კვლავ ზუსტი გარდასახვა მოყვა.

ამის შემდეგ არმაზი ინიციატივას დაეუფლა, მეტოქე საკუთარ 22-ში გამოკეტა, ჯარიმებზე უარი თქვა და უქულოდ დარჩა – 3:17 პირველი ტაიმის შემდეგ.

სამაგიეროდ, ჯარიმის დარტყმა ქუთაისელებმა არ ითაკილეს და მეორე ტაიმის დებიუტში უპირატესობა გაზარდეს. არმაზმა ლელოთი 48-ე წუთზე უპასუხა, დერეფნიდან შეტევის შემდეგ ხაზი გაიჭრა, საბოლოოდ, ბექა გუგეშაშვილმა იყოჩაღა და ბურთი ლელოში გადაიტანა, ხოლო ჯინჭველაშვილმა ჩამორჩენა 10 ქულამდე დაიყვანა.

იქვე ბაბუნაშვილმა ჯარიმა გაიტანა, არმაზი კი 3 ქულაზე ჯიუტად ამბობდა უარს და ისევ შეცდა. ქუთაისელებმა უკან დაახევინეს მეტოქეს, მერე თავად გადავიდნენ შეტევაზე და შოთა არეშიძემ მასპინძლები მესამედ დაალელოვა, ხოლო ბაბუნაშვილმა გარდასახა და აიამ 30:10 იმარჯვა.

**ხარები-ლელო სარასენსი 22:25**

ლელო-სარასენსმა 2 მარცხის შემდეგ ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილამდე აღზევდა. ხარებმა კი ზედიზედ მე-2 შეხვედრა წააგეს.

არადა, პირველი ტაიმი რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა და შეხვედრის მიწურულს შეეძლოთ, რომ ეს შეხვედრა არ წაეგოთ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას და შესრულებისას შეცდნენ.

ხარებმა მატჩის დებიუტში ჯარიმის კარში დარტყმაზე უარი თქვა და არც ინანა: მოლი ლელოთი გიგა ქვლივიძემ დაასრულა და ვაჟა ხუციშვილმა გარდასახა. ტაიმის შუაში ირაკლი ყიასაშვილმა და ხუციშვილმა ჯარიმები გაცვალეს, ხოლო 33-ე წუთზე ლელო-სარასენსმა მეტობა გამოიყენა – სანდრო თოდუამ ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა. ყიასაშვილს გარდასახვა გაუცუდდა და ტაიმი ხარებმა 10:8 მოიგო.

მეორე ტაიმის დებიუტში მასპინძლებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს და ლელო ქანდაურაშვილმა გაიტანა, ხოლო ხუციშვილის გარდასახვა კვლავ ზუსტი იყო. სტუმრებმა ლელოთი მალე უპასუხეს, თენგო პერანიძემ რაქიდან ბურთი აიტაცა, მცველი ცრუ მოძრაობაზე დაიჭირა და ოვალი ლელოში დაამიწა. გარდასახვა მერაბ კვირიკაშვილმა შეასრულა და ჩამორჩენა ისევ 2 ქულამდე დაიყვანა.

მალე მეკოს ჯარიმა გაუცუდდა, თუმცა 63-ე წუთზე სალელოვე კონტრშეტევა წამოიწყო: ხარებმა მეტოქის ლელოდან 7-8 მეტრში ბურთი დაკარგა, კვირიკაშვილმა უპირატესობა შექმნა და მარცხნივ აკაკი ტაბუცაძეს პასი არ დაუგვიანა და მანაც 80-მეტრიანი კონტრშეტევა ლელოთი დასრულდა. კვირიკაშვილმა ზუსტ გარდასახვას რამდენიმე წუთში ჯარიმა მიაყოლა და სტუმართა უპირატესობა კომფორტული გახდა.



მალე ლელო-სარასენსი მატჩის ბოლომდე კაცნაკლული დარჩა. ხარებმა დიდი მონდომებით შეუტია და ბექა ბებიაშვილმა ლელო ალამთან გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო, თუმცა უკანასკნელ წუთზე რუსთაველებმა გასატან პოზიციაზე ჯარიმა გამოიმუშავეს და ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუჩნდათ, მაგრამ ფრეს ლელოზე თამაში არჩიეს, ჯარიმიდან ბურთი აუტში ვერ გადაიტანეს და 22:25 მარცხისთვის მხოლოდ ნუგეშის ქულას გამორჩნენ.

**ბათუმი-აკადემია 22:6**

ქვეყნის ვიცეჩემპიონმა ბათუმმა ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე გასამართი პირველი მატჩის წინ თბილისის აკადემიას უმასპინძლა და 22:6 დაამარცხა. ზღვისპირელებმა სტუმრებს სამი უპასუხო ლელო გაუტანეს და ბონუსქულაც ჩაიწერეს.

არადა, პირველი ტაიმი სტუმართა სასარგებლოდ დასრულდა. ბახვა კობახიძის ერთ ჯარიმას სოსო მათიაშვილმა ორით უპასუხა – 3:6.

მასპინძლები ინიციატივას მე-2 ტაიმში ინიციატივას დაეუფლნენ და ბექა მამრიკიშვილის ლელოთი დაწინაურდნენ, რასაც კობახიძის ზუსტი გარდასახვა მოყვა. შემდეგ ბათუმის შერკინებამ იმძლავრა და ლელო ხვიჩა ბუჯიაშვილმა მიითვალა, ხოლო უკანასკნელ წუთზე დურმიშხან ჯაბნიძემ თავისი გუნდის მესამე ლელო მიითვალა, ხოლო კობახიძემ გარდასახვით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 22:6.

**ჯიქი-ლოკომოტივი 14:22**

ლოკომოტივმა გორელებს პირველ ტაიმში 4 უპასუხო ლელო გაუტანა და 22 ქულით დაწინაურდა. შესვენების შემდეგ ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ორი ლელო კი გაქვითა, მაგრამ თამაშის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჯერ ლელოში ლელოში დავით გულიტაშვილი შევიდა, შემდეგ დუბლიც მიითვალა, ხოლო ტაიმის მიწურულს ფარნა გასვიანმა და ვახტანგ ამირანაშვილმა დაამიწეს – 0:22.

სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ წიკლაურს დარტყმები არ წაუვიდა და 3 გარდასახვა და ერთიც ჯარიმა გაუფუჭდა. მეოთხე ჯერზე გარდასახვა საბა ნიკოლავამ ითავა და გუნდს 2 ქულა შესძინა.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა, დასკვნით მეოთხედში კი, ჯიქი უპირატესობას დაეუფლა და გურამ შენგელიამ ლელოში გადადება მოახერხა. 73-ე წუთზე გორელებმა ხელდახელ შეტევისას ნიკა ბიწაძეს შეირბინა ლელოში. დიტო კიკნაძემაც ორივე გარდასახვა გამოიყენა, მაგრამ სულ ეს იყო...

**ბაგრატი-არმია 31:37**

ქუთაისში დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში ყველაზე უხვქულიანი თამაში გაიმართა. გუნდებმა ჯამში 8 ლელო გაიტანეს და 68 ქულა მოაგროვეს, გამარჯვება კი არმიელებს დარჩათ.

სტუმრებმა ბაგრატს 5 ლელო გაუტანეს, დიმიტრი კალანდაძემ დუბლი შეასრულა, სოლომონ ქარუხნიშვილმა, დავით მესხმა და თედო დევიძემ თითო-თითო მიითვალეს. მეორე ტაიმის დასაწყისში არმია ლელოებით 5:1 იგებდა და ბონუსქულის აღების კანდიდატი იყო, თუმცა ქუთაისელებმა ორი ლელოთი ჩამორჩენა შამცირეს და ბოლო წუთზე გატანილი ჯარიმით ნუგეშის პრემია თავად ჩაიწერეს – 31:37.

# მანუელ ნოიერი: „ბაიერნთან ერთად 2013 წლის გამეორება მსურს“

## შედეგები

**9 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ალბანეთი-იტალია | 0:1 |
| ისრაელი-ესპანეთი | 0:1 |
| ისლანდია-კოსოვო | 2:0 |
| მაკედონია-ლიხტენშტეინი | 4:0 |
| მოლდოვა-ავსტრია | 0:1 |
| სერბეთი-საქართველო | 1:0 |
| უკრაინა-ხორვატია | 0:2 |
| უელსია-ირლანდია | 0:1 |
| ფინეთი-თურქეთი | 2:2 |

**ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ირლანდია-ისრაელი | 4:0 |
| ჩერნოგორია-სლოვენია | 1:3 |
| ხორვატია-ჩეხეთი | 5:1 |
| ლუქსემბურგი-საფრანგეთი | 2:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მიუნხენის ბაიერნის მეკარემ, მანუელ ნოიერმა, რომელიც ტრავმის შემდეგ აღდგენით სამუშაოებს გადის, ცოტაოდენი დრო გამონახა და ჟურნალისტისა და გულშემატკივრების კითხვებს უპასუხა.

***– მანუ, როგორ გამოიყურება ახლა შენი ყოველდღიურობა?***

– ახლა რეაბილიტაციის დასაწყისში ვიმყოფები, ამიტომ საკმაოდ პასიური სამუშაოების ჩატარება მიწევს. ძირითადად ფიზიოთერაპევტები მუშაობენ. უნდა დაველოდო, სანამ ნაკერებს მომხსნიან. შემდეგ ნორმალურად შემეძლება შხაპის მიღება, მაგრამ ძველებურად ყურადღებით და ფრთხილად უნდა ვიყო, რათა წყალი ნაოპერაციებ ადგილას არ მოხვდეს. შემდეგ შეხორცების პროცესი დაიწყება, რომელიც შეიძლება ნახევარ წლამდე გაგრძელდეს. ამ პროცესის მიმდინარეობისას ფიზიოთერაპევტები ფიზიკური მომზადების მწვრთნელს გადამცემენ, რომელთანაც მუშაობას გავაგრძელებ და ძალებს აღვიდგენ.

***– ყველა გულშემატკივარს აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს რეაბილიტაცია და როდის არის დაგეგმილი შენი დაბრუნება?***

– ამ მომენტისათვის ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩემი დაბრუნება იანვარში მოხდება. ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეხორცების პროცესზეა დამოკიდებული. რეაბილიტაცია ჯერჯერობით ძალიან კარგად მიმდინარეობს, პოზიტიურად ვარ განწყობილი, ვთვლი, რომ საქმეები წინ მიდის.

***– რა არის შენი მოტივაცია ფორმის აკრეფის პროცესში?***

– ძალიან სულსწრაფი ადამიანი ვარ. მიყვარს თამაში და ყოველთვის მსურს, რომ მოედანზე გამოვიდე. მე გუნდის ლიდერი ვარ, კაპიტანი და ყველაზე კარგად შემიძლია გუნდს დავეხმარო, როდესაც მოედანზე გამოვდივარ. ეს არის ჩემი მიზანი და ყველაზე დიდი მოტივაცია.

***– როგორ გამოგდის მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრაციის შენარჩუნება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მეტოქე იშვიათად ურტყამს შენი კარის მიმართულებით?***

– სპორტსმენი ვარ და ნებისმიერ სახეობაში აუცილებელია კარგი ამტანობა. ჩემთვის მნიშვნელოვანია კარგ ფიზიკურ კონდიციებში ყოფნა და რაც უფრო უკეთესია ეს კონდიციები, მით უფრო ყურადღებით შემიძლია ვითამაშო დიდი ხნის განმავლობაში. ზოგჯერ ცოტა სამუშაო მიწევს თამაშის პირველ ტაიმში, მაგრამ თუ 70-ე წუთზე ჩემს კართან სახიფათო მომენტი დგება. ასეთ შემთხვევებში საკმაოდ რთულია მოქმედება, მაგრამ თუ მაღალი კონცენტრაციის შენარჩუნებას შეძლებ, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ თავდაუზოგავმა შრომამ თავისი გაიტანა.

***– რაიმე რიტუალი თუ გაქვს მატჩის წინ? ჩვენ, მაგალითად, დავინახეთ, შენი კოლეგა რომან ბიურკი ბელბოის ან მსაჯს რომ ართმევს ბურთს და რამდენიმეჯერ ბურთს***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

სპორტი

# მანუელ ნოიერი: „ბაიერნთან ერთად 2013 წლის გამეორება მსურს“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

*ხელებით უჭერს. ამის მსგავს რამეს თუ აკეთებ?*

– მეც ვაკეთებ მსგავსს, იმისათვის რომ თავდაჯერებით დავიმუხტო. განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებში გეხმარება, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში არ გჭერია ხელში ბურთი. მთლიანობაში არის რამოდენიმე ავტომატური მოქმედება, რომელთაც თითოეული მატჩის დაწყების წინ ვაკეთებ. მაგალითად: ავტობუსიდან პირველი გამოვდივარ და გასახდელში შევდივარ. შემდეგ ფიზიოთერაპევტი მათვალიერებს, მამოწმებს, ყველაფერი რიგზე მაქვს თუ არა. როგორც წესი, ტრენაჟორზე ვხურდები, ხოლო შემდეგ მოედანზე 2-3 ვარჯიშს ვასრულებ. რაიმე განსაკუთრებული რიტუალი არ გამაჩნია.

*– ყველაზე რთული მეტოქე, რომლის წინააღმდეგაც მოგიწია თამაში?*

– რთულია თქმა, რადგან ჩემ წინააღმდეგ ძალიან ბევრ ძლიერ ფეხბურთელს უთამაშია. შემიძლია ვთქვა, რომ ყოველდღიურ მუშაობაში საკმაოდ მყავს სერიოზული მეტოქეები, რადგან ჩვენს გუნდში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია. ვარჯიშების დროს ზოგჯერ გიწევს, უმცირესობაში მოხვდე და ერთდროულად 2-3 ფეხბურთელს გაუწიო წინააღმდეგობა.



*– როგორია, იყო ბაიერნის ნომერი პირველი?*

– მთლიანობაში ეს კარგი შეგრძნებაა. თავდაჯერებულობას ვგრძნობ და ამისათვის კლუბის მადლიერი ვარ. ბავარიაში კარგი, პოზიტიური ატმოსფეროა. ჩვენ თავდაჯერებულ თამაშს ვაჩვენებთ, ვდომინირებთ მატჩებში და ამიტომ მოედანზე ყოველთვის ჩემს ძალებში დარწმუნებული გამოვდივარ.

*– რა ენებზე შეგიძლია საუბარი?*

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გერმანულად. ინგლისურად. სკოლაში ერთი წელი იტალიურს ვსწავლობდი, მაგრამ ძალიან მოწადინებული არ ვყოფილვარ.

*– რა პროფესიას დაეუფლებოდი, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავი?*

– ვერ შევძელი, მე-13 კლასი დამემთავრებინა ვარჯიშების გამო და ამიტომ პირველ რიგში ვისურვებდი სკოლის დამთავრებას, შემდეგ კი სპორტულ სფეროში დარჩენას. შესაძლოა გამეგრძელებინა ამ მიმართულებით სწავლა.

*– რომელია შენი საყვარელი მუსიკოსი?*

– ნებისმიერ მიმდინარეობას ვუსმენ. ჰიპ-ჰოპი, ფრანგული მუსიკა, ესპანური, რომელსაც ხავი მარტინესი უსმენს ან ბრაზილიური რაფინიასგან.

*– საუკეთესო მომენტი შენს კარიერაში?*

– რთული კითხვაა. რა თქმა უნდა, ეს ბაიერნთან ერთად მოგებული „ტრებლია“. ის წელი ბავარიისთვის და ჩემთვის განსაკუთრებული იყო. ჩვენ ბევრი ტიტული მოვიპოვეთ, საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, ხოლო 1 წლის შემდეგ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონებიც გავხდით. ეს წარმოუდგენელი განცდა იყო! ეს ნამდვილად ჩემი საუკეთესო წლები იყო, ვიმედოვნებ, რომ მსგავსი განმეორდება.

*– რის მიღწევა გსურს კიდევ შენს კარიერაში?*

– ბავარიასთან ერთად 2013 წლის წარმატების გამეორება. ნაკრებთან ერთად ჩვენ მომდევნო წელს მსოფლიო ჩემპიონატი გველოდება. ჯერ არავის დაუცავია მსოფლიო ჩემპიონების ტიტული. ჩვენთვის ეს ოცნებაა.

*– შენი მიზნები ამ სეზონში?*

– ჩემი უპირველესი პირადი მიზანი კვლავ მწყობრში ჩადგომაა. იოლი წელი არ მქონია და მსურს რაც შეიძლება მალე გუნდს კვლავ დავეხმარო. სასურველია, რომ ამ მომენტისათვის გუნდი ყველა ტურნირზე კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ჩვენ უკვე დავამყარეთ რეკორდი ჩემპიონატში ზედიზედ გამარჯვებებით. ჯერ კიდევ არავინ გამხდარა გერმანიის ჩემპიონი ზედიზედ 5-ჯერ და გვსურს, ჩემპიონები მეექვსედაც გავხდეთ. დანარჩენ ტურნირებზე კი გვსურს, ბოლომდე გავიდეთ.

## სტალონეს ქალიშვილებმა კოსმეტიკის რეკლამაში მიიღეს მონაწილეობა

ცნობილი ბრენდის დოლჩე და გაბანას კოსმეტიკურმა განყოფილებამ თვალების და წარბებისთვის განკუთვნილი ახალი დეკორატიული კოსმეტიკის კოლექცია წარმოადგინა. ამ ინფორმაციას ბრენდის პრესსამსახური ავრცელებს.

კოლექციის რეკლამის გადაღებაში მონაწილეობა მიიღეს ჰოლივუდის მსახიობის სილვესტერ სტალონეს ქალიშვილებმა – მოდელებმა სისტინმა და სოფიამ. სარეკლამო რგოლის სიუჟეტის თანახმად, გოგონებს ნახევრად გამჭვირვალე შავი მაქმანებიანი კაბები აცვიათ და ისინი იტალიის ქალაქის ქუჩებში პოზირებდნენ, სადაც პასტის მომზადების გაკვეთილებს იღებდნენ ხანდაზმული ადგილობრივი ქალბატონისგან.



კოსმეტიკის ახალი კოლექცია ბრენდის წარმომადგენლის თქმით, წყლის მიმართ მდგრადობით გამოირჩევა და კანზე 8 საათის განმავლობაში ძლებს.

## შვეიცარიულმა საათების ბრენდმა ალენ პროსტს სპეციალური საათი მიუძღვნა

საათების შვეიცარიულმა მწარმოებელმა Richard Mille-მ „ფორმულა-1-ის“ ავტომრბოლელის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ალენ პროსტის პატივსაცემად შექმნილი საათი წარმოადგინა.



პროსტს მიეძღვნა მოდელი ტურბიონითა და ოდომეტრით RM 70-01 Tourbillon Alain Prost. ყოფილი ავტომრბოლელი ამჟამად ველორბოლითაა გატაცებული და ახალ საათს შეუძლია მის მიერ სეზონის დაწყებიდან განვლილი მანძილის ჯამი გამოიყვანოს. ოდომეტრის მრიცხველი 99,999 კილომეტრზეა გათვლილი. მოდელის მუშაობის რეზერვი 70 საათს შეადგენს. საათის ასიმეტრიული კორპუსი კარბონისგანაა დამზადებული, ხრახნები – ტიტანისგან, სამაჯური – წითელი პლასტიკისგან.

## პიცერიაში შესულმა დათვებმა ძეხვი დააგემოვნეს

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ესტენ-პარკში დათვმა თავისი ორი ბელით პიცერიაში შეაღწია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხოველებმა პიცერიაში კვირა ღამით შეაღწიეს, როდესაც იქ არავინ იმყოფებოდა. მათ იქ მოძებნეს და შეჭამეს ცომი და ძეხვი სალიამი. ეს შემთხვევა სათვალთვალო ვიდეოკამერამ გადაიღო, რომლის ჩანაწერიც შემდეგ ფეისბუქზე გამოქვეყნდა.



პიცერიის თანამშრომლებმა პოლიციელებს მოუწოდეს, არ მოეკლათ ცხოველები.

– ქალაქში ყოველი ნაგვის ურნა დათვებისგან დაცულია, ასე რომ, მათ საკვების მოსაპოვებლად მხოლოდ ჩვენი სახლები, მანქანები და კომპანიები დარჩათ, – დაწერეს პიცერიის თანამშრომლებმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ავსტრალიური ნიანგები უფრო აგრესიულები გახდნენ

ავსტრალიის კვისლენდის შტატში ბინადარი ნიანგები უფრო მეტად აგრესიულები გახდნენ და ქალაქებთან სულ უფრო ახლოს სახლდებიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



თუ მთელი 2015 წლის განმავლობაში შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მხოლოდ 345 ნიანგი შენიშნეს, 2017 წლის ცხრა თვეში მათმა რაოდენობამ 477 შეადგინა.

სათევზაო კომპანიის მფლობელი ლაიტონ ჰეფერი ამტკიცებს, რომ რეპტილიების ქცევა შეიცვალა.

– არა მგონია, რომ ადამიანების აქტიურობამ ისინი შეაშინოს, – ამბობს ჰეფერი, – ისინი უკვე იჭრებიან ისეთ ადგილებში, სადაც ადრე არ გვხვდებოდნენ.

შტატის ბუნების დაცვის მინისტრმა სტივენ მაილზმა განაცხადა, რომ მტაცებლების რაოდენობის ზრდამ იმ თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა მოითხოვა, რომლებიც ნიანგების მონიტორინგითა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფით არიან დაკავებულნი.

## ასტროპროგნოზი

### 11 ოქტომბერი



**ვერძი** – მოტყუების ალბათობა დიდია. ფხიზლად იყავით. ნეგატივს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **კურო** – სულიერად გაწონასწორებული ხართ. საკმაოდ მშვიდი დღეა. უცნობ ადამიანებთან კონტაქტს ერიდეთ. **ტყუპები** – კონფლიქტი დილიდანვეა მოსალოდნელი. ნუ იქნებით კატეგორიული. **კირჩხიბი** – თქვენი ფორიაქი ინტიმურ სფეროში ამაოა. თამამად იარეთ წინ. **ლომი** – შესაძლოა, საჯარო მოხელეებმა დღეს ახალი თანამდებობა მიიღოთ. შემოთავაზებულ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდით. **ქალწული** – საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. **სასწორი** – მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ღრიანკალი** – ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **თხის რქა** – დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **მერწყული** – ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **თევზები** – მოშურნე თქვენთვის კვანტის დადებას ცდილობს. პროვოკაციას ნუ წამოეგებით. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 2. მოკლე ნიჩბით სამართავი სპორტული ნავი; 3. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 4. ცირკის არენა; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის, მტკიცე, გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. გერმანიაში გამოყვანილი, უხეშბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. კუთხე საქართველოში; 21. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 22. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად**: 5. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ხელოვნური შერჩევით; 7. მჭევრმეტყველი ადამიანი; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 12. ჩეხი მხედართმთავარი,ეროვნული გმირი; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. ქართული ხალხური თამაში ქამრებით; 20. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 23. ოპერა „მინდიას“ პერსონაჟი; 24. ქართული სპორტული გაზეთი; 25. არაბი გლეხი; 26. უბანი თბილისში; 27. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, საიზოლაციო მასალა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბასტურმა; 2. საქსი; 3. ბრიუსელი; 4. თოხანი; 7. „ციცკა“; 9. კრიკი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ჰიპნოსი; 17. კუმურდო; 20. ჯეზვე.

**თარაზულად:** 5. კაშაგანი; 6. ვეროკიო; 8. ავსტრია; 10. პეკინესი; 11. ამქარი; 13. სტაპელი; 16. „მისტრალი“; 18. დუომო; 19. „ოპელი“; 21. „უემბლი“; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მაკაბი“; 2. კირხე; 3. ფეიხოა; 4. მაკეტი; 6. სალიამი; 9. ბეილი; 11. შარიათი; 15. „განდაგანა“; 16. კეხურა; 17. „მუკუზანი“; 19. აჯამეთი; 21. ბეზმენი; 22. „მარიცა“.

**თარაზულად:** 5. ლაგოდეხი; 7. აპალაჩი; 8. სკლერა; 10. კეტჩერი; 12. ტესტი; 13. აგავა; 14. პილიგრიმი; 18. ლაიკა; 20. სეგუნი; 23. ბაწარა; 24. ზილი; 25. ჩაროზი; 26. ცინი; 27. ანანური.

# მომღერლები 2 წლის ვივიანა ქვირიას გადასარჩენად ერთიანდებიან

11 ოქტომბერს წყალტუბოში მომღერლები საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ, რომელიც 2 წლის ვივიანა ქვირიას სიცოცხლის გადასარჩენად მოეწყობა.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გოჩა ჭაბუკაიძე, გიორგი ნაკაშიძე, ბარბარა სამხარაძე, გიორგი ფრუიძე, ზურაბ ორმოცაძე, გვანცა ოსიყმაშვილი, ხატია კუტივაძე, ნანა ჯიქია, ილუზიონისტი სუხი, გიორგი დვალიშვილი... კონცერტზე დაუკრავს ვივიანას დედაც, მევიოლინე მარიტა ვარძელაშვილი.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5 ლარია.

**მარიტა ვარძელაშვილი:**

– ყველამ ზურგი შემაქცია, სახელმწიფომაც... სოციალურზე უარი მითხრეს... ვისი იმედიც უნდა ჰქონდეს გამწარებულ დედას, იმის იმედი არ დამიტოვეს. 2 წლის ბავშვი, მაღალი სიცხეებისგან გამოფიტული და ძალაგამოცლილი, სახლში მიწევს. როცა შემეძლო, ყველა პროფესორთან მყავდა, მაგრამ დიაგნოზი ვერავინ დაუსვა, ამ კვლევებს და ვითომ მკურნალობას შეეწირა მთელი ჩემი ფინანსები და თუ რამე გამაჩნდა.

ვივიანა 9 კილოდან 8 კილომდე ჩამოვიდა. 4 თვეა იტანჯება, ტირილისგან დასიებული და ნატანჯი თვალებით მიყურებს და ვერაფერს ვშველი, ხანდახან საკუთარი თავიც მძულს რომ ვერ ვეხმარები, ის ხომ შემომცქერის დასახმარებლად, მას როგორ ავუხსნა, რომ მე ვერ დავეხმარები და ასე მოუწევს ყოფნა, თუკი ვერ გავაცილე საქართველოს საავადმყოფოებს და ვერ წავიყვანე იქ, სადაც მკურნალობის და შედეგის 100% შანსს მაძლევენ. ეს ქვეყანაა საფრანგეთი, ქალაქი მონტპელიერი, სადაც დახმარებას ერთი ქართველი გოგონა გამიწევს.

3.000 ევრო რა არის შვილის სიცოცხლისთვის? ეს თანხა მჭირდება მხოლოდ, აქედან 330 ევრო, 30 დოლარი და 1000 ლარი უკვე შემიგროვეთ კეთილმა ხალხმა. გეხვეწებით, გემუდარებით, 1 ლარი დღეს ხომ ყველას გაქვთ, დამეხმარეთ, სულ ცოტაღა გვაკლია, პასპორტების გაკეთება დაწყებული მაქვს.

შენ, ვინც ამას კითხულობ, ნუ იფიქრებ, რომ შენი 1 ლარი არაფერია. ეს თანხა, რაც ხალხმა შემიგროვა, სწორედ 1 ლარებითაა შეკოწიწებული. თუ სახლიდან ვერ გადიხართ, აიღეთ მობილური და დარეკეთ ქვემოთ მითითებულ ნომერზე, თუ ბარათზე გაქვს თანხა, ჩაგვირიცხეთ ასევე ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე, თუ დღეს გადახდის აპარატთან მოხვდებით, იქიდანაც შეძლებთ დახმარებას.




გემუდარებით, ვივიანას რომ რამე დაემართოს, თავს არ ვიცოცხლებ და 2 შვილი, 3-4 წლის ბავშვები დარჩებიან მხოლოდ მამის ამარა, დედიკოს გარეშე.

ვმუშაობ თვეში 150 ლარზე, ვარ მევიოლინე ქუთაისის ოპერის თეატრში და ყოველდღე გამწარებული გავრბივარ სახლისკენ იმის შიშით, რომ ბავშვი სიცხისგან გაშავებული არ დამხვდეს!

გთხოვთ, წარმოიდგინეთ ყველამ თქვენს თავზე, რომ თქვენს შვილს ამხელა სიცხეები ჰქონდეს დღე-ღამე და არცერთი წამალი არ შველოდეს. გადასხმა შველის მხოლოდ რამდენიმე საათი, მერე ისევ სიცხეს აძლევს 39-40. ფეხები და ხელები დალურჯებული აქვს კათეტერისგან. გამიგეთ, დამიდექით გვერდით, სულ ცოტაღა მჭირდება იმისთვის, რომ შვილი გადავარჩინო.

პატარა ვივიანას გადასარჩენად თიბისი ბანკში, საქართველოს ბანკში და ვითიბი ბანკში სპეციალური ანგარიშებია გახსნილი. ჩართულია საქველმოქმედო ზარი 0901701202. ზარის ღირებულება 1 ლარია.

# მამა პეტრე: „ტერენტი გრანელმა დაგვანახა, როგორ შეიძლება იყო პროვინციიდან და არ იყო პროვინციელი“

10 ოქტომბერი პოეტ ტერენტი გრანელის გარდაცვალების დღეა. პოეტი 36 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდელმსახურ მამა პეტრესთვის (კვარაცხელიასთვის) ტერენტი გრანელი გამორჩეული შემოქმედია.

პოეტის გარდაცვალებას მამაომ ემოციური ჩანაწერი მიუძღვნა და მას „უსახელო პოეტი“ უწოდა:

– წალენჯიხიდან ჩამოსულს, აზრადაც არ ექნებოდა იმ ქარტეხილების გამოვლა, რაც პოეტების ქალაქად მონათლულ თბილისში დაატყდა... მისი ყოველი სტრიქონი გულიდან წამოსული სისხლის წვეთები იყო, რომელთანაც ნაზიარები საბოლოოდ ერწყმოდა „ცისფერ სიშორეს“, „უხილავი ბაღების სილურჯეს“, „გლოვის ზარებს“, „ფარულ ვედრებას“, „ქრისტეს გამოცხადებას“...

ჩვენში მეორედ მოსული ღმერთი დაუღალავად ატარებდა სულის ფსკერზე დაუნჯებულ უსახელო ტკივილს, ამოუხსნელ მწუხარებას, დათოვლილი სანთლების ჩაუქრობელ ნათელს...

ღვთაებრივი არა, ღვთაება იყო, რომელსაც ჯვარივით მძიმე ლექსები დაჰქონდა მინავლებული მხრებით, ცაზე უსასრულო ლურჯი თვალებით, უცრემლო ტირილით...

ის არ ცხოვრობდა არსად, მაგრამ მიტოვებული ტაძრები, მდუმარე სამრეკლოები, ნესტიანი სარდაფები, სასაფლაოები, ქარვისფერ ხეთა ჩრდილები მისი თავშესაფარი იყო...

არასდროს უთხოვია სიცოცხლე, არც სიკვდილი, სწორედ მესამე გზის ძიებას შეეწირა, „პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზააბნეული“...

ალბათ, ეს არის ნამდვილი შემოქმედის ბუნება... ყველაფერზე უარის თქმა და მართალი სიტყვისთვის მოწამეობა...

არც ჭორები დაჰკლებია ტალახად... ქართველმა ხალხმა გიჟი უწოდა, თუმცა იმდროინდელი, სამწუხაროდ, ამჟამინდელიც, საქართველო ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია...

მათთვის კი, ლექსებს ტარიგად შეწირული „შავი წიგნების“ ავტორი, ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ებრაელებისთვის ქრისტე, რადგან ადამიანად გაჩენილი მესია არა მიწიერ, არამედ ზეციურ დიდებას ჰპირდებოდა...





თმაგაწეწილი, სახეშეშლილი პოეტი-სალოსი უფრო და უფრო ჩიოდა, როგორ ამოსულიყო იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა...

არადა, მისი სულიერი ტაძრის საძირკველი არასდროს დაჰკარებია მიწას... იგი საკუთარ ბინას შორეული ვარსკვლავის სიკაშკაშეში ხედავდა. მას ქრისტე იხმობდა სხვა ვარსკვლავიდან...

დიახ, მისი სული ლანდი იყო ღმერთის და ლანდების ასეულს დაჰყვებოდა უსასრულოდ...

აცოფებდა ნათურების ჩაღამებული თვალები და ქრისტეს თვალებს ელოდა...

ხშირად იდგა ღია ფანჯრის წინ და წვიმის ფონზე გარინდული უსმენდა თეთრი კლავიშებიდან წამოსულ მელოდიას...

ბევრი ჰქონდა აღმაფრენა, მოწყენილობაც, სიხარულიც, მწუხარებაც... ესენინივით თავის მოკვლაზეც დაფიქრდა ალბათ, მაგრამ მასავით ჯვარცმული ღმერთის ერთგული დარჩა სიკვდილამდე...

არაფერი გააჩნდა, გაყვითლებული რვეულების და უძილო ღამეების გარდა...

ნაგვემ სულს ულმერთო ეპოქა მარწუხებს უჭერდა, ის კი საკუთარი სხეულიდან, როგორც ჩაკეტილი საკნიდან გარბოდა მაშინ, როცა გადარჩენას გმინავდნენ ლაზარეთის კედლები...

ზოზიას ცრემლებს ავგაროზივით ატრიალებდა დასიცხულ თითებში და სოფლის კვირის წირვები ენატრებოდა...

სისხლიანი სამარიდან აღმდგარი „მგლოვიარე სერაფიმი“, მფარველად დაუდგა ნიცშეს ფილოსოფიით დაავადებულ ეპოქას და გულწრფელად აღმოხდა: „შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

„უსახელო პოეტმა“ დაგვანახა, როგორ შეიძლება იყო პროვინციიდან და არ იყო პროვინციელი...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბრიტანელებმა ექსტრემალური პირობებისთვის ახალი ჩასაცმელი შექმნეს

ბრიტანულმა ბრენდმა maharishi-მ წარმოადგინა თბილი ჩასაცმელების შემოდგომა-ზამთრის კოლექცია, რომელიც ექსტრემალური პირობებისთვისაა განკუთვნილი.



ქურთუკების დიზაინში გამოყენებულია აინების (ჩრდილოეთ იაპონიაში მცხოვრები ხალხი) და ვიეტნამელი მთიელების ეროვნული ტანსაცმლის მოტივები. კერძოდ, კოლექციაში შევიდა ქურთუკები, რომლებიც კიმონოს მსგავსადაა შეკერილი და პონჩო. ჩასაცმელები დამშვენებულია ნაქარგებით, რომლებიც იაპონური კალიგრაფიის იმიტაციას წარმოადგენს. კოლექცია უკვე გაყიდვაშია გამოსული.

# რუსკა მაყაშვილი ბიჭის დედა გახდა

„ნიჭიერის“ ჟიურის წევრი და რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

მას და მის მეუღლეს, მორაგბე სანდრო ნიჟარაძეს, პირველი შვილი ბიჭი შეეძინათ. პატარას ახალბედა მშობლებმა ილია დაარქვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ „ნიჭიერის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ჩვენი რუსკა დედა გახდა! ვულოცავთ დიდი სიყვარულით!

რუსკა მაყაშვილი და სანდრო ნიჟარაძე ორი წლის წინ დაქორწინდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

გელა ყიფიანი ოჯახით თანაუგრძნობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანს დავით გურგენიძეს მამის, ბატონი

**რიმიკო (ზაურ) გურგენიძის**

გარდაცვალების გამო.

კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის, ცისანა აბულაძის ძმის

**ამირან აბულაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# უკრაინული პოლარული სადგურის ბარი საუკეთესოთა შორის მოხვდა

ბრიტანელმა ექსპერტებმა ჯოელ ჰარისონმა და ნეილ რიდლიმ დაასახელეს დედამიწის ყველა კონტინენტის საუკეთესო ალკოჰოლური სასმელის მისაღები ადგილები..

ანტარქტიდაზე საუკეთესოდ დასახელდა ბარი „ფარადეი“, რომელიც უკრაინულ პოლარულ სადგურ „აკადემიკოსი ვერნადსკიში“ მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დაწესებულებაში ალკოჰოლური სასმელის შეძენა დაახლოებით სამი დოლარი დაგიჯდებათ.

ევროპაში მოგზაურებს ურჩევენ მოინახულონ სტოკჰოლმის Tweed/Burgandy და ლონდონის Callooh Callay. აზიაში ტურისტებს სთავაზობენ სინგაპურში ბარი Atlas-ი, ხოლო მუმბაიში ბარი Aer at the Four Seasons-ი მოინახულონ.

აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის დაწესებულებებს შორის ექსპერტებმა კეიპტაუნის დაწესებულება ცსოკა და თელ-ავივის დაწესებულება Benny,s Cask Ale Pub-ი გამოყვეს. ავსტრალიის ტოპ ბარების რიცხვში მოხვდნენ მელბურნის Bar Americano და სიდნეის The Baxter Inn-i.



ჩრდილოეთ ამერიკის დაწესებულებებიდან ყველა აშშ-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდა:Dead Rabbit-i ნიუ-იორკში და Midnight Rambler-ი დალასში. სამხრეთ ამერიკაში პირველობა ერგოთ ბარებს El Floridita (ჰავანა) და The English Bar at the Country Club Hotel-ს (ლიმა).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

ოთხშაბათი

11 ოქტომბერი

06.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 06.30 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მხიარული ფერმა" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.15 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30, 04.15 დღის მხ/ფ "**ლედი ჰამილტონი**"(ლ.ოლივიე) 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 დოკ/ფ "მუმიფიცირებული" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 დოკ"ფილმი. "გონების თამაშები" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 "არჩევნები" 22.30 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 23.30 მხ/ფ "**თანაკლასელები 2**" (ს.ჰ აიეკი) 01.15 მხ/ფ "**დამლოცე ულტიმა**" (კ.ფრანკლინი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ძმა**" 22.00 პრაიმშოუ 23.30 მხ/ფ "**საჩუქარი**" 01.25 მხ/ფ "**ოპერჯგუფი**" 03.15 მხ/ფ "**დივერსია**" 04.45 მხ/ფ "**კარგი ადამიანები**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 კომედი შოუ 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**ცხოვრების გზა**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დღის ამბები: დ. ტრაპაიძე, ი. გრიგოლია, ვ. სანაია. 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 პოლიტმეტრი: ნ. ჟიჟილაშვილი. 23.00 ქართ. სერ. "**ელიტარული დახმარება**"

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" 11.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები 3**" 13.00 სერ. "**ძვლები 9**" 17.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება: საზღვარგარეთ-2**" 18.00 სერ. "**სამხედროების ცოლები**" 1 სერ. 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" 21.00 სერ. "**სპირალი 3**" 22.30 სერ. "**ბორჯია 2**" 23.30 სერ. "**ბორჯია 3**" 1 სერ. 00.30 მხ/ფ "**საშინელი ბოსები**" 02.20 მხ/ფ "**ჩვენ მილერები ვართ**" 04.30 მხ/ფ "**ტენენბაუმების ოჯახი**" 06.15 მხ/ფ "**დედამთილი მონსტრია**"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.00 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.10 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.45 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინეტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 სერ. "**შავი სია**" 3.45 ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-ქვაზე ამოტვიფრული" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ეპოქა და ადამიანები "ჭაბუა ამირეჯიბი" 10.40 საქართველოს დაცული ტერიტორიები "ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები" 10.50 დ/ფ "ეპოქა-ილია II" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 გაცოცხლებური წარსული "ერისიონი" 13.30 ან/ფ "პიტერ პენი" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "ქარგვა" 15.05 ქართული ან/ფ 15.15 დ/ფ "ბარტ ვულფი-საოჯახო საკვირაო სადილი ფრიულში" 15.50 კონცერტი 17.10 ერთსულოვანი ოჯახი "ჩიქოვანები" 17.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 დ/ფ "შოკოლადის მიკროფონი-სოფიკო ჭიაურელი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.15 მხ/ფ "ჭირვეული მეზობლები" 20.35 ძილი ნებისა "მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქვიშით ნაამბობი 21.35 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "**აღდგომის ბატკანი**" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 საუკუნის პორტრეტები-"ავთო ვარაზი" 01.30 მხ/ფ "**ჩრდილი გზაზე**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**11 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4786

ევრო — 2.9109

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2591

100 რუსული რუბლი — 4.2432

**ამინდის პროგნოზი 11 ოქტომბრისთვის**






## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი

**საზღაური**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 სექტემბრიდან




მანანა ხვედელიძე

**ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია**

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი



## კაკა კარიერის დასრულებას აპირებს



ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი რიკარდო კაკა მალე კარიერის დასრულებაზე იფიქრებს. კაკა ბოლო 3 წლის განმავლობაში ამერიკაში თამაშობს, სადაც ორლანდოს ღირსებას იცავს. ის უკვე 35 წლის არის და სულ უფრო და უფრო უჭირს ფეხბურთის თამაში, რადგან ამისთვის ფიზიკური კონდიციები არ ჰყოფნის.

ფეხბურთის თამაში უკვე ისეთ სიამოვნებას აღარ მანიჭებს, როგორც ადრე, ამიტომ შესაძლოა კარიერის დასრულებაზეც ვიფიქრო. ჩემი სხეული ფიზიკურ დატვირთვებს ველარ უძლებს და ჩემს ასაკში ეს არც არის გასაკვირი, – განაცხადა კაკამ.

რიკარდო კაკამ სახელი მილანში თამაშით გაითქვა და 2007 წელს ოქროს ბურთის მოგებაც მოახერხა.

## რეალი ბეილს ყიდის



მადრიდის რეალის ხელმძღვანელობა მზად არის, გარეტ ბეილი გაყიდოს, რადგან უელსელი ფეხბურთელი ძალიან ხშირად იღებს ტრავმებს და იშვიათად თამაშობს.

ამჟამად ბეილი ისევ ტრავმირებულია, რის გამოც თავის ნაკრებს გადამწყვეტ შეხვედრებში ვერ დაეხმარა.

ბეილის ყიდვა მანჩესტერ იუნაიტედს სურს, მაგრამ აქამდე რეალი უელსელი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებდა, თუმცა მდგომარეობა შეიცვალა და ბეილის წასვლაც უფრო რეალურია, ვიდრე ადრე.

რეალმა თავის დროზე ბეილი 100 მილიონ ევროდ შეიძინა და ამაზე ნაკლებად სამეფო კლუბი ბეილის გაყიდვას არ აპირებს.

## ვერმალენი შესაძლოა ანდერლეხტის ფეხბურთელი გახდეს



ბარსელონის ბელგიელი მცველი ტომას ვერმალენი შესაძლოა ბელგიაში დაბრუნდეს და ანდერლეხტის ფეხბურთელი გახდეს. ვერმალენს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე, ამიტომ მას ბარსას დატოვება სურს.

ბარსელონაში ვერმალენმა საკმაოდ ცოტა შეხვედრა ჩაატარა, რისი მიზეზიც ძირითადად ტრავმები იყო. ამჟამად ბელგიელი მცველი ჯანმრთელია, მაგრამ ერნესტო ვალვერდე მასზე აქცენტს არ აკეთებს, ამიტომ ვერმალენის ანდერლეხტში ტრანსფერი რეალურია. ბარსელონაში გადასვლამდე ვერმალენი წლების განმავლობაში ლონდონის არსენალის ღირსებას იცავდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



მოხუცმა ქალმა ძროხის გასასინჯად ახლადგამომცხვარ ვეტერინარს დაუძახა, რომელიც ველოსიპედით მივიდა. მან ძროხა შეათვალიერა, მერე ბებოს მიუბრუნდა და ეუბნება:

– აი ატეხილია, ბებია.

– აუფ! რა წეიყვანს ამ სამგლეს მეზობელ სოფელში?!

ვეტერინარს ბებო შეეცოდა, გახსნა ჩანთა, შპრიცით დალუქული კონტეინერიდან სპერმა ამოიღო და ძროხას საჭირო ადგილას შეუყვანა, ერთი სიტყვით, ხელოვნური განაყოფიერება ჩაუტარა.

– მორჩა, აღარ უნდა ამას არაფერი, მაკედაა უკვე.

– რას ჩივი, ნენა... ამას ბუღა არ უნდა?

– არა, ბებია, მაკედაა უკვე.

– რაფერ, ნენა... ამაზე ახლა კურომ არ უნდა გადეიაროს ზეეთ?

– 100-ჯერ ხომ არ გეტყვი, ბებია?! აღარ უნდა არაფერი, მაკედაა, მაკედ!!!

ბებიამ თავი ასწია, პირჯვარი გადაიწერა და ჩაილაპარაკა:

– ამ ხნის ქალი ვარ, დავბერდი, ნენა და პირველად ვნახე, ბუღა ველოსიპედით დეიარებოდეს და ასო ჩემოდნით დაჰქონდეს!

●●●

კაცმა გადაწყვიტა, ანალიზისთვის სპერმა ჩაებარებინა. ექიმმა ქილა მისცა და ეუბნება:

– აი ეს ქილა და ხვალ დილით მოიტანეთ.

მეორე დღეს კაცი ცარიელი ქილით მივიდა. ექიმი ეკითხება:

– რაშია საქმე?

– იცით, ექიმო, ჯერ ერთი ხელით ვცადე, მერე ორივეთი, მერე ცოლიც მომეხმარა, ჯერ ხელებით, მერე კბილებით, მერე მეზობელსაც დავუძახეთ...

– როგორ მეზობელსაც დაუძახეთ?

– ჰო! ყველამ ვცადეთ, მაგრამ ქილას თავსახური ვერ მოვხსენით...

●●●

გაბრაზებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– მორჩა, სამზარეულოში მივდივარ ჭურჭლის დასამტვრევად!

ქმარმა ჩაიცინა:

– მიდი, მიდი, პლასტმასის ჭურჭელი დაგხვდება...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## 5 ოქტომბრიდან




**რჩეული ქართული ზღაპრები**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

**ქართული ჰაგიოგრაფია**

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



## ისლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გავიდა

ისლანდიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე კოსოვო დაამარცხა 2:0 და თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ამრიგად, ისლანდიელებმა პირველად ისტორიაში მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური და ისეთ ნაკრებებს აჯობეს, როგორებიც ხორვატია და უკრაინა არიან. ისლანდიის ნაკრებმა ბოლო წლებში საგრძნობლად მოუმატა და 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გავიდა.

შესარჩევ ეტაპზე მათ 7 შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ. მეორე ადგილი ხორვატიამ დაიკავა, ხოლო შევჩენკოს მიერ გაწვრთნილი უკრაინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა.



## ხამესი ბაიერნში ბედნიერი არ არის



გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაიერნის კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი ბაიერნში თავს კომფორტულად არ გრძნობს და ისევ რეალში სურს დაბრუნება. ხამესს უჭირს გერმანულ ცივ კლიმატთან შეგუება და გერმანული ენის შესწავლა, ამიტომ მას ბაიერნის დატოვება სურს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კარლო ანჩელოტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ბაიერნის ახალმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა განაცხადა, რომ ის ხამესს აუცილებლად დაეხმარება და სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ოპერა „ფალსტაფის“ კომპოზიტორი; 3. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. უბანი თბილისში; 12. სხვადასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი; 14. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 15. ქონება, რომელსაც ატანენ საპატარძლოს გათხოვებისას; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება.

**თარაზულად:** 5. ქართული ლუდი; 6. გამოფენა, კინოფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრების პირი; 11. ყველაზე დიდი მდინარე აფრიკაში; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. ბელინის ოპერა; 19. ოსური ცეკვა; 21. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 22. ძველბერძენი დრამატურგი, ტრაგედია „მედეას“ ავტორი; 23. სპორტული თამაში ხის ჯოხებითა და ბურთით.

*შეადგინა თ.კოპალიშვილმა*